რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 3 მაისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 90 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 90

გულ-დათუთქული მეუღლე ალმასხანი, შვილები: მიხაკო, მელიტონი და სამსონი, და რძალი ანეტა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის საყვარელი ცოლის მეორენი ძვირფასი დედის, ხოლო მესამის დედამთილის

**ნინო ივანეს ასული ფერაძისას**

გარდაცვალებას.

გულ დამწვარნი შვილები: პეტრე იორამიშვილი მეუღლით, თამარათი და პატარა ნიკუშათი, ბაბო კუპრაშვილისა, სიძე გიორგი დავითის ძე კუპრაშვილი, და ანნა და ძმა გიგლო ჯარაევები, უკანასკნელი მეუღლით ნინოთი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 1 მაისს გარდაიცვალა პირველთა საყვარელი დედა, ხოლო მეორეთა დაუვიწყარი და

**ნატალია ნიკოლოზის ასული იორამიშვილისა.**

პანაშვიდები ყოველ-დღე დილის 10 საათზე და სალამოთი 6 საათზე მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. გასვენება 4 მაისს დილის 9 ნახ. საათზედ წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში და წირვის შემდეგ დაკრძალვა.

თავზარ დაცემულნი და ღრმად დამწუხრებულნი დედა ნატალია, მამა ერმილე, დაი თამარა სარიშვილები და ბებია პოლინე ხომერიკისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**ვასიკო სარიშვილის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას სად. აჯიკაბულში ბალშევიკებთან შეტაკების დროს. დაკრძალვა მოხდება შაბათს 4 მაისს გურიაში სოფ. ორმეთში, ზედობნის ეკლესიაზე.

## განცხადება

**კავკასიის ოლქის გზათა მიმოსვლის გამგეობა აცხადებს,**

რომ ყარსისა და ბათუმის განყოფილების მოსამსახურენი, რომელთა სამსახურის ადგილი გადასულია ოსმალეთის ხელში, 1918 წ. 10 მაისიდან რჩებიან შტატს გარეშე. ანგარიშის მისაღებათ უნდა მიმართონ საოლქო გამგეობას (თფილისი, სერგიევის ქუჩა № 8).

ოლქის უფროსი, ინჟინერი თუმანოვი.

## თფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 1) პირველ აპრილამდი ელექტრონის ენერგიაზე ფასი რჩება ისევ 85 კაპ. 1 კილ. 2) სადგურის პატრონებს უფლება არ აქვთ ზემოხსენებულ ფასს გარდა რაიმე დამატებითი ფასი აიღონ განათებაზე, რა სახითაც არ უნდა იყოს ეს.

ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ ყოველი ზემოხსენებული წესის დარღვევა სადგურის პატრონებისაგან აცნობონ მას და შეიტანონ სათანადო განცხადება წარმოების განყოფილებაში.

2—1 ქალაქის გამგეობა.

## განცხადება.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ ყველა მოქალაქეს შეუძლია პურის ბარათებით ათი დღით წინ მიიღოს სიმინდის ფქვილი (სამი მერვედი გირვანქა თვითეულ რაციონზე, ფქვილი გირვანქა ღირს 72 კაპ.) ამას გარდა შეუძლიანთ აგრეთვე სასურსათო ბარათებით მიიღონ ათ ათი გირვანქა ფქვილი თვითეულ სულზე ყოველ თხუთმეტ დღეში, 1 მანეთად გირვანქა ფქვილი.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

სახლის ორგანიზაციების, კოოპერატივების და სასურსათო დუქნების საყურადღებოთ.

## პური და შაქარი

**პურის ტალონები.** ვინაიდან ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას არა აქვს საშუალება დროთა ღრო. შეცვლის თანახმად მოასწროს პურის და შაქრის ახალი ბარათების გამოცემა, ამიტომ ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ, რომ უკვე გამოშვებულ ბარათების ტალონები უნდა მიიღონ შემდეგი წესით: 18 აპრილის, როგორც 1 მაისის, 19 აპრილის—როგორც 2 მაისის და ასე ბოლომდის 30 აპრილამდე, რომლის ტალონი გამოდგება 13 მაისს (ახალი სტილით).

**შაქრის ტალონები:** სასურსათო (შაქრის) ბარათების ტალონები მაისისა და ივნისის გამოდგება მაისსა და ივნისში, ხოლო აპრილში შაქარს მიიღებენ მხოლოდ 1—15 აპრილის ტალონებით ე. ი. პირველი ნახევარი თვისას; დანარჩენი კი 16—30 აპრილის ტალონები ითვლება გაუქმებულათ.

**სათადარიგო ტალონები** (თავის). აპრილს სათადარიგო ტალონებში გამოდგება მხოლოდ 1—10 აპრილის ტალონი, დანარჩენი: 11—20 აპრილის და 20—30 აპრილის ითვლება გაუქმებულათ. მაისისა და ივნისის ტალონები გამოდგება მაისსა და ივნისში.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

## დაიკარგე

12 აპრილს პასპორტი მოცემული ერთი წლით, გამოჩინებული საზოგადოების № 115 და პირადული მოწმობა რკინის გზის დეპოსაგან მოცემული და პარტიული ბილეთი თფილისის პირველ რაიონის რ. ს. დ. მ. პ. № 58 და ფული 19 მანეთი და 50 კ. მპოვნელს ვთხოვთ ფული დაიტოვოს, ხოლო დოკუმენტები გადასცეს სამტრედიის რკინის გზის კომისარს. დამკარგველი თფილისის რკინის გზის მუშა ვასილ ქორიძე. (1—1)

ექიმი

## დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, სალამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

## ექიმი კ. ი. ფვარჯალაძე

**შინაგან და ბავშვთა სნეულებანი**

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე სალამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. სერგიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ 15—00.

ექიმი ქალი

## რ. გ. შიუკო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და სალამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

## ეკონომიური დამოკიდებულება

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ამიერ-კავკასიას ეკონომიურათ დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლიან და მაშასადამე სეიმის მიერ გადადგმული ნაბიჯი ხალხის ნივთიერ მდგომარეობის დამღუპველი აქტიაო.

ამის საბუთს მოწინააღმდეგენი არ იძლევიან, ისინი მხოლოდ ტრადიციულ მოსაზრებით კმაყოფილდებიან და ზერელეთ დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ამიერ-კავკასიას ურუსეთოდ არსებობა არ შეუძლიან.

მაგრამ მათი ასეთი შეხედულება ზერელე დაკვირვების ნაყოფია და მეტი არაფერი. რუსეთის იმპერიალისტების იდეოლოგები არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას ანგარიშს არ უწევენ, თანამედროვე მსოფლიო ომის მიერ წარმოშობილ საერთაშორისო ეკონომიურ დამოკიდებულებას ვერ ჩასწვდომიან და ისე სუბიექტიური სულიკვეთებით ხელმძღვანელობენ.

ვინ არ იცის, რომ პატარა ქვეყანას, განუვითარებელ კუთხეს დამოუკიდებელი ეკონომიური არსებობა-განვითარება არ შეუძლიან. იგი იძულებული ხდება მსოფლიო აღებ-მიცემობის ფერხულში ჩაერიოს და დაწინაურებულ ქვეყნებს დაუკავშირდეს. თვით დიდი სახელმწიფოებიც კი ასეთ კავშირს საჭიროებდენ და ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლით ერთმანეთს უთანხმდებოდენ. ინგლის-გერმანიის შორის ნაწარმოების გაცვლა გამოცვლა გაცილებით ფართო ნიადაგზე ხდებოდა, ვიდრე გერმანიასა და ოსმალეთს შორის; ინგლისსა და გერმანიის შორის ეკონომიური ურთიერთობა მჭიდროთ კავშირდებოდა და მათ შორის დამოკიდებულება აუცილებელი ხდებოდა.

მხოლოდ ერთის განსხვავებით: ინგლისსა და გერმანიის შორის ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლას კოლონიალურ სავაჭრო პოლიტიკის ხასიათი არ ქონია და ერთმანეთს ბარბაროსულ ექსპლოატაციას ვერ უშვრებოდენ. მაგრამ ასეთი კავშირი არ არსებობს განუვითარებელსა და დაწინაურებულ სახელმწიფოების შორის. სამრეწველო სახელმწიფო უკან ჩამორჩენილ კუთხეებთან ეკონომიურ კავშირს იჭერს და ამ კავშირის მეოხებით უკანასკნელს საექსპლოატაციო საგნათ იყენებს. მაგრამ ეს ისეთი აუცილებელი ბოროტებაა, რომელსაც მხარს ვერ აუქცევს ვერც ერთი უკან ჩამორჩენილი მხარე. განსაკუთრებით ახლა, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები ბრძოლის ველიდან გამარჯვებული გამოდიან და თავიანთ გავლენის ქვეშ მრავალ განუვითარებელ კუთხეებს აყენებენ.

ახლა თვით დიდი რუსეთი ეკონომიურად დაძაბუნდა, იგი კომუნისტების ანარქიის მეოხებით სრულიად დასუსტდა და მას ამიერ-კავკასიასთან ძველი ეკონომიური კავშირის დაჭერა არ შეუძლიან. ისედაც აგრარიული ქვეყანა ანარქიის გამო მინგრეულ-მონგრეულ რესპუბლიკათ გადაიქცა და მას არ შეუძლიან რომელიმე განაპირა კუთხეს რაიმე ეკონომიური დახმარება აღმოუჩინოს. ფინანსიურზე ლაპარაკიც მეტია. იგი ისე დავალიანდა, რომ კარგა დიდი დრო უნდა, რომ საკუთარ ფეხზე დადგეს. მაშასადამე ჩვენ ვერ გაგვიგია რომელ რუსეთზე ლაპარაკობენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე იდეოლოგები და რათ გონიათ, რომ უკანასკნელს უპირველოთ არსებობა არ შეეძლოს? მით უმეტეს, რომ ჩვენ მომავალში ობიექტიურ მიზეზების გამო უფრო დაწინაურებულ სახელმწიფოსთან მოგვიხდება ეკონომიური კავშირის გაბმა და საერთოდ მდგომარეობა შედარებით უფრო ნორმალურ პირობებში ჩადგება. რუსეთი აგრარიული სახელმწიფო იყო და იგი ამიერ-კავკასიას როგორც მიწათმოქმედების ჩვეყანას უკავშირდებოდა. მინერალებით და ლითონით მდიდარი ქვეყანა განუვითარებელ რუსეთის კაპიტალის უღელს ქვეშ იმყოფებოდა და აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე მიწის შიდა გულში რჩებოდა. ახლა ეს არა ნორმალური მდგომარეობა უფრო უნუგეშო მდგომარეობაში იქნებოდა, უკეთუ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა არ გამოცხადდებოდა და იგი თავისუფალი არ იქნებოდა და შესაფერ მოკავშირეს არ მოძებნიდა. რუსეთი ისე დაძაბუნდა, რომ მისი სახალხო ეკონომია, საერთო განვითარება დიდ ხნობამდის კაპიტალის დაგროვებას ვერ მოახერხებს, იქ კაპიტალისტური წარმოება საკუთარ ფეხზე ვერ დადგება. კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან კავშირის დაჭერა და კაპიტალისტური წარმოების აღორძინება მიუცილებელი საქმეა და პროლეტარიატი ამაში ხედავს ხსნას, წარმოების განვითარებაში იკრებს ძალას და უახლოვდება მომავალ სოციალისტურ წყობილებას.

ამ სახით ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა ადგილობრივ მცხოვრებთ იძულებულს გახდის უფრო განვითარებულ სახელმწიფოებთან ეკონომიური კავშირი იქონიოს და ამ გზით შესდგეს იგი თანამედროვე განვითარების ნიადაგზე.

## დამოუკიდებლობის მტერ-მოყვარენი

ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებამ დიდი არევდარევა და აზრთა შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ასი წლის წინ ჩვენი ქვეყნის მმართველ წრეებს დიდი მეცადინეობა მოუნდათ, რომ საქართველო რუსეთისათვის დაეკავშირებიათ და ამ გზით ევროპის კულტურასთან დამოკიდებულება დაეჭირათ. ამავე დროს ეს ნიშნავდა ოსმალეთის გავლენისაგან განთავისუფლებას და მშვიდობიან მოქალაქობრივ ცხოვრების დამყარებას. და როგორც მეთვრამეტე საუკუნეში, ერეკლე მეორის მეფობის დროს, ორათ გაიყო საზოგადოება—ერთნი რუსეთთან კავშირს ემხრობოდენ, ხოლო მეორენი ამ კავშირს დამღუპველათ თვლიდენ, ისე დღესაც ორათ გაიყო ხალხი: ერთი ნაწილი რუსეთის ჩამოშორებას და დამოუკიდებლობის გამოცხადებას აუცილებელ და სასარგებლო ნაბიჯათ აღიარებს, ხოლო მეორე ნაწილი დამოუკიდებლობაში სამშობლოს ღალატს და დაქცევას ხედავს.

სიმართლე უნდა ვთქვათ: დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ყირამალა გადაატრიალა ხალხის აზროვნება, მისი ტრადიციები, მით უფრო, რომ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ჩვენი დემოკრატია მჭიდროთ დაუკავშირდა რუსეთის დემოკრატიას. ამ წმინდა ფსიხოლოგიურ მომენტს ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დამოუკიდებლობის უარმყოფელთა შორის. ხუმრობა ხომ არ არის ერთბაშათ მოსწყდე რუსეთის ძლიერ სხეულს და თვალდახუჭულივით გაექანო, ვინ იცის, საით. მართლაც, ყველა კარგათ გრძნობს, რომ რუსეთის ჩამოშორება გვამარტოებს, საკუთარ ძალების ანაბარა გვტოვებს და რომელი არამზადას ლუკმა გავხდებით, არავინ უწყის. ასე აქვს წარმოდგენილი საქმე დამოუკიდებლობის ბევრ მოწინააღმდეგეს. ამათ გულწრფელობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია და როცა კი დარწმუნდებიან ესენი, რომ რუსეთიდან შველა სულ ერთია მოსალოდნელი არაა, მაშინ იძულებულნი გახდებიან საკუთარ თავზე ზრუნვა საჭიროთ იცნონ და დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა აღიარონ. აღნიშნულ ჯურის ხალხი დამოუკიდებლობის შემთხვევითი და დროებითი მოწინააღმდეგეა და დღეს თუ ხვალ ესენი ჩვენთან ერთად იქნებიან.

მაგრამ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას უფრო საშიში და სერიოზული მოწინააღმდეგენი ყავს. ნურავინ იტყვის, რომ ასეთებია რუსი მოხელენი და უადგილოთ დარჩენილი ოფიცრები,—ყველა ისინი, ვინც რუსეთის ყოფილ ძლიერების დროს განაპირა ქვეყნებს ისე უყურებდენ, როგორც სახმარ ნივთს. ამ ჯურის ხალხი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას ვერ შეურიგდება, ესენი მუდამ დაუძინებელი მტრები იქნებიან ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, მაგრამ მათთან ბრძოლა ადვილია: ისინი არ წარმოადგენენ არავითარ ზნეობრივ ძალას, მათი სურვილები და განზრახვები აშკარაა და ამიტომ ჩვენი დემოკრატიაც შესაფერისად დააფასებს მათ და ღირსეულ პასუხსაც გასცემს.

მაგრამ არიან დაფარული მტრებიც. ამათში ზოგი გულწრფელიც არის. ბევრი გულუბრყვილოთ ფიქრობს, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება სოციალისტურ პრინციპების ღალატია, რომ რუსეთის ჩამოშორება ოსმალეთ გერმანიასთან დაახლოვებას ნიშნავს და რადგან გერმანიაში იმპერიალისტები ბატონობენ, ამიტომ ჩვენ იმპერიალისტების ფერხულში ჩაბმას გვაბრალებს. ამ გულწრფელ ხალხის გვერდით მოქმედობს მეორე ჯგუფი, რომელსაც კარგათ ესმის საქმის ვითარება, მაგრამ ნამდვილ განზრახვებს ვერ ამჟღავნებს და სოციალისტურ დროშას ეფარება, სოლიდარობის პრინციპებს იშველიებს და ისე ფიქრობს ფონს გასვლას. ამიტომ მოხდა, რომ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ილაშქრებენ სწორეთ ისინი, ვინც ყველაზე მეტს ყვიროდა თვითგამორკვევის შესახებ — სოციალისტ-რევოლიუციონერები და ყოფილი ბალშევიკები—აწი კი რუსეთის კომინისტურ პარტიის წარმომადგენლები. და ყველაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას მავნებლათ თვლის სწორეთ ის ხალხი, რომელმაც მარტო ქ. ბაქოს დამოუკიდებლათ გამოცხადების წინაშეც კი არ დაიხია, ხალხი, რომელმაც სოხუმი მოგლიჯა მთელ კუთხეს, რომელმაც ბაქო და ნაქალაქევის გამოცალკევებაც კი არ ითაკილა. და როცა ეს ხალხი ცოდვათ გვითვლის „მუსავატ"-თან ერთად მუშაობას, პირდაპირ გაუგებარია, რისი თქმა სურს მას: „მუსავატი" წარმომადგენელია ოთხი მილიონი მუსულმანობის, რომელიც ჩვენს მეზობლათ ცხოვრობს და ავათ იქნება თუ კარგათ უნდა შევეგუოთ მას, ან და ომი გამოუცხადოთ და გარეშე ფრონტს კიდევ შინაური ფრონტი მივუმატოთ.

ერთი სიტყვით, რუსეთთან დაბრუნების მქადაგებელნი ერთობის და სოლიდარობის ნიღაბის ქვეშ საშინელ ბრძოლის გამოწვევას უწყობენ ხელს ამიერ-კავკასიის ერთა შორის, რის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ის, რაც ბაქოში და სოხუმში მოხდა, სადაც ბალშევიკებმა საშინელი ეროვნული ხოცვა-ჟლეტა გამოიწვიეს.

ამიტომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დღევანდელ პირობებში არის ბრძოლა ეროვნულ შუღლის წინააღმდეგ მიმართული, ბრძოლა, რომელსაც შეუძლია დაგვიხსნას როგორც ოსმალეთის, ისე ბალშევიკების თვითმპყრობელურ ბატონობისაგან.

დემოკრატიის ვალია ყოველი ძალღონით დაიცვას ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი ფედერატიული რესპუბლიკა როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრების თავდასხმისაგან.

## ფედერაცია

ერთი მთავარი საშუაო, რომელიც აწევს ამიერ-კავკასიის სეიმს, ესაა ძირითადი კონსტიტუციის შემუშავება. 9 აპრილის სხდომაზე მხოლოდ დეკლარაცია იქნა მიღებული დამოუკიდებლობის შესახებ, მხოლოდ პრინციპიალურათ იქნა აღიარებული ამიერ-კავკასია ფედერატიულ რესპუბლიკათ.

ბევრს რასაკვირველია გაუკვირდება, რომ ჩვენ ფედერაციის სასარგებლოთ მივეცით ხმა, თუმცა დღემდი მუდამ ფედერაციის წინააღმდეგ ვწერდით და ვლაპარაკობდით. უნდა აღვიარონ, რომ შესაძლებელი იყოს დაუყოვნებლივ ცენტრალისტური რესპუბლიკის განხორციელება, ჩვენ ახლაც მისი მომხრე ვიქნებოდით. მაგრამ სამწუხაროთ, ეს შეუძლებელია. ასეთ განზრახვას წინ ეღობება სურვილები სხვადასხვა გავლენიან—პოლიტიკური პარტიების, ერთი მხრით და ის სოციალური ურთიერთობა სხვადასხვა ელემენტებს შორის, რომელიც არ იძლევა საშუალებას ერთგვარათ ყველა კუთხის მოწყობისას. საქართველო, სომხეთი და აღერბეიჯანი, მიუხედავათ თავის მეზობლობისა და მრავალი საერთო ინტერესებისა, მაინც იმდენათ განირჩევიან ერთმანეთისაგან კულტურით, ზნე ჩვეულებით, განვითარებით, რომ მათი ერთ კალაპოტში ჩაყენება დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ეს ერთი მხრით უფრო განვითარებულ კუთხეს ამიერ-კავკასიისას მეტათ მძიმე მოვალეობას დააკისრებდა, მეორე მხრით ხელფეხზე ბორკილს დაადებდა. აი ამიტომ ჩვენ დღეს იძულებული ვართ მივიღოთ ისეთი ფორმა სახელმწიფოსი, რომელიც არ წარმოადგენს საუკეთესოს მუშათა ინტერესებისათვის, მაგრამ რომელიც დღევანდელ პირობებში ერთათ ერთი შესაძლებელი დემოკრატიული ფორმაა წყობილების, რომლის განხორციელება მოსახერხებელია. ამ რიგათ ჩვენი თანხმობა ფედერატიულ რესპუბლიკის დაარსებაზე უფრო ტაქტიკური და პოლიტიკური მოსაზრებით არის გამოწვეული, ვინემ პრინციპიალურის.

პრინციპიალურათ ჩვენ დღესაც ცენტრალისტებათ ვრჩებით და მომავალში კულტურულ განვითარების ზრდასთან ერთათ ჩვენი მუდმივი ცდა იქნება ეს რესპუბლიკა ცენტრალისტურ ტიპს მიუახლოვოთ, ყველა მისი შემადგენელი ნაწილები, რაც შეიძლება დაახლოვებით ერთგვარ პირობებში ჩავაყენოთ, რომ ამით ეკონომიურ ურთიერთობის წინამსვლელობას, საწარმოვო ძალთა განვითარებას ფართო გზა გავუხსნათ. ჩვენ გვესმის, რომ ფედერაცია შედეგია ჩვენი ჩამორჩენილობის, რასაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა კუთხეების განსხვავებულ კულტურას. ხოლო განვითარება ყველგან ერთსა და იმავე ეკონომიურ ურთიერთობას გაიბატონებს და ამით პოლიტიკურ ცენტრალიზმს მოუმზადებს ნიადაგს. მაგრამ ვიმეორებთ, ეს მომავლის საკითხია. დღეს კი ჩვენ არსებულ პირობებს ვუწევთ ანგარიშს, არსებულ ძალთა განწყობილებას და ეკონომიურ სიტუაციას ვუყურებთ და ამის მიხედვით ვიღებთ შესაფერ გადაწყვეტილებას.

ამიტომ არავის უნდა გაუკვირდეს, რომ გამოცხადება ფედერატიულ რესპუბლიკისა ერთხმათ იქნა მიღებული და დაკანონებული. არავის უნდა გაუკვირდეს, რომ თვით ამ რესპუბლიკის კანონების შემუშავებაში ჩვენ ფედერაციის პრინციპით ვიხელმძღვანელებთ. ვინაიდან მარქსისტული მოძღვრება თხოულობს არა ყველგან და ყოველთვის ერთ დოგმის განხორციელებას, არამედ ყოველი პრინციპის ცხოვრებაში დროისა და გარემოების მიხედვით გამოყენებას.

მარქსიზმი ცენტრალიზმს ქადაგებს არა ყველგან და ყოველთვის, არამედ აღიარებს მას, როგორც აუცილებელ ტენდენციას თანამედროვე ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობის ზრდა-განვითარებისა. აი ამიტომ ვართ ჩვენ ცენტრალისტები და ამიტომვე ვღებთ ჩვენ ამ ჟამათ ფედერატიულ წყობილებას. მარქსისტები ბალკანეთშიაც, რომლის მრავალ ერით მცხოვრებლები თვით ჩამორჩენილ კულტურით ბევრში ჰგვანან ჩვენს ქვეყანას ამგვარათვე ფედერატიულ წყობილებას თხოულობენ. და ამით მარქსიზმის ღალატი მათთვის არავის დაუბრალებია. პირიქით ეს სწორეთ მარქსის შეხედულების საუკეთესო გამოყენებათ იქნა აღიარებული. და ჩვენც სწორეთ მარქსისტულმა თვალსაზრისმა გვიკარნახა ის ნაბიჯი, რომელიც ფედერაციის გამოცხადებით გადავდგით.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**სოხუმის ოლქში და სამეგრელოში.**

ქუთათურ ესერების გაზეთ „რევოლიუციონურ ნობათში" (№ 18) ასე აგვიწერენ სოხუმში მომხდარ ამბებს:

26 მარტს 1918 წელს ქ. სოხუმში შემოვიდა სოხუმის ოლქის შეიარაღებული გლეხები. ქალაქ სოხუმის აღებასა და ძალა უფლების ხელში ჩაგდებაში მათთვის დიდი წინააღმდეგობა არავის გაუწევია იმ მოსაზრებით, რომ სოხუმის ოლქის გლეხები შემოდიან თავიანთ დედა ქალაქში, რომ ამ ქალაქში ისინი ისეთს რამეს არ ჩაიდენენ, რომ თავისივე საქმე წაახდინონ და ქალაქში რაიმე უბედურება დაატრიალონ. ამისათვის ქალაქში ის აზრიც ტრიალებდა, რომ გლეხებისათვის ხელიც კი შეეწყოთ და წინააღმდეგობა არ გაეწიათ. ასეც მოხდა და ქალაქი აღებულ იქნა. და ეს მოვლენა მხოლოდ და მხოლოდ ზემოხსენებული მიზეზით აიხსნება და არა იმითი, რომ თითქოს ქალაქს თავდაცვა არ შეეძლო.

ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები და სხვა იარაღი, რომელიც ხელში გლეხებმა ჩაიგდეს სწორეთ დამამტკიცებელია ზემოთმოყვანილი მოსაზრების.

მაგრამ, სამწუხაროთ, დღეს ქალაქ სოხუმის მცხოვრებნი არ უმართლებენ წინანდელი მოლოდინი და იმედები, რომელსაც ამყარებდენ ისინი თავიანთ მეზობლებზე.

რომ ქალაქს თავს ამ ამბების დროს დიდი გავლენა არ მოეხდინა ამ საქმეში, შეიძლება, და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ასე ადვილათ არ გათავდებოდა მათი შემოსვლა, მაგრამ მისი გრძნობა და მოსაზრებანი ვერვინ გაიგო, ვერვინ დააფასა და ბენია დაჭერილი იქნა.

ბოლოს ირკვევა, რომ გლეხების მოსაზრებას უკვე **აღარ უწევენ ანგარიშს ისინი, ვინც უცბათ წამოსკუპდენ ზევით და ეხლა იმავე გლეხებს** ზედა სართულებიდან ბომბს პულემიოტით უმასპინძლდებიან. გლეხები მალე დაინახავენ, რომ მათი ჭირ-ვარამი არაფერს აინტერესებს ხსენებულ ვაჟბატონებს. გლეხების შეწეობით ქალაქში ახალი მთავრობა შესდგა და ძალა-უფლება სხვათა ხელში გადავიდა, მაგრამ ეს ახალი მთავრობა გლეხების სახელით ისეთ რამეს ჩადის, რომ ჩირქსა სცხებს გლეხებს და სახელს უტეხს მათ.

მარტის სოციალისტებს არ ეპიტნავებათ ძველი სოციალისტები და იჭერენ და ათას შეურაცყოფას აყენებენ მათ და სირცხვილი ის არის, რომ ყველა ამას ჩადიან ვითომდა ხალხის ინტერესებისათვის.

და ისეთ არაფრით არ გასამართლებელი საქმე, როგორიც არის ქალაქის თავის დაჭერა, თავისუფლების შეზღუდვა, კრებების შეწყვეტა, ორი მილიონი კონტრიბუციის დადება ქალაქზე, ხალხის საუკეთესო შვილების დაპატიმრება და მრავალი სხვა **ხდებოდა ხალხის ინტერესებისა, რევოლიუციის და დემოკრატიზმის სახელით.**

იმ საშინელმა ამბებმა, რომელიც სოხუმში მოხდა, უნდა დააფიქროს სოხუმის გლეხობა და უსათუოდ უნდა შეაცვლევინოს თავისი მოქმედების გზა. მათ თვითონ უნდა აიღონ თავიანთ ხელში თავისი საქმე, თვით უნდა გაუძღვენ მას და ამ საქმეში ჩვენ ყველანი მათი მომხრე და მოსამსახურენი ვიქნებით. (ხაზი ყველგან ჩვენია).

ასე აგვიწერენ სოხუმის ამბებს. სამეგრელოში მომხდარი ამბების შესახებ კი იმავე ნომერში შემდეგს სწერენ:

გუშინ ქუთაისში ჩამოსულმა საპატიო პირმა სამეგრელოს ამბების შესახებ გვიამბო შემდეგი: ის ამბები, რომელსაც ამ ბოლოს დროს სამეგრელოში ადგილი ჰქონდა სრულიად ბუნებრივია და გამოწვეულია როგორც საერთოდ მთავრობის პოლიტიკის ხაზით, ისე ადგილობრივი ადმინისტრაციის „მუშაობითაც". იქ არამც თუ მთავრობის წინააღმდეგ გამოდის რომელიმე „ბრბო", როგორც ამას სწერენ მთავრობის გაზეთები, არამედ საერთო უკმაყოფილებას მასიური ხასიათი აქვს.

რასაკვირველია ამ მასიურ მოძრაობას არ აქვს მტკიცე, ორგანიზაციული კალაპოტი და შესაფერი იდეური ხელმძღვანელობა. ეს იმით აიხსნება, რომ მენშევიკები დიდ რეპრესიებს მიმართავენ ყველა იმის წინააღმდეგ, ვინც ამ რაიონებში მათ წინააღმდეგ რამეს იტყვის.

ამ მოძრაობის ლოზუნგია დღევანდელი მთავრობის დაცემა. მართალი რომ ვთქვათ ეს ლოზუნგი სამეგრელოში ძლიერ პოპულიარულია და ამის მიზეზი სხვათა შორის თვით მთავრობაცაა. სამეგრელოში ამ ლოზუნგის გარშემო აქტიური გამოსვლები დაიწყო და შესაძლებელია ამის გარშემო დიდი ამბები დატრიალდეს. ზუგდიდის მაზრაში კი ეს ლოზუნგი სრულიათ მშვიდობიანათ ჩატარდა, გადადგა ადგილობრივი კომიტეტები და ამ მხრივ მათ არ გაუწევიათ ჯიუტობა.

ამ ჯიუტობამ სამეგრელო და კერძოთ სენაკის მაზრა ნაქალაქევის ისტორიამდე მიიყვანა, მაგრამ ამით მენშევიკებმა მხოლოდ გააძლიერეს ის მოძრაობა, რომელიც იქ დაიწყო.

საერთოთ მიუხედავათ იმის მტკიცებისა, რომ სამეგრელო „მენშევიკურიაო"—იქ ძლიერათ იკიდებს ფეხს ესერული და ბალშევიკური მიმართულება.

მენშევიკების დღე სამეგრელოში დათვლილია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთი ხანია ქუთათური ესერები არაფრით აღარ განსხვავდებიან კომუნისტ ბალშევიკებისაგან.

ამ ხალხის აზრით „მიზანი ამართლებს საშუალებას" და მენშევიკების წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალებაც მისაღებია მათ [illegible]...

სწორეთ ის მოხდებოდა სამეგრელოშიაც, რაც სოხუმში მოხდა, რომ შეგნებულ ნაწილს წინააღდეგობა არ გაეწია ალვირ-წახსნილ პირთა მოქმედებისათვის; ასეთივე ამბები მოხდებოდა ცხინვალში, თელავში, და სხვა ადგილებში.

ვინ ჩაუდგა სათავეში მოძრაობას სოხუმის ოლქში ბალშევიკების სახელით?

ვინ მეთაურობენ გლეხთა საბჭოებში თუ სხვა ორგანიზაციებში ლეჩხუმში?

ყველგან საეჭვო პირები და არც ერთ ადგილას არ არიან სათავეში ხალხის გულშემატკივარნი!

მენშევიკების დღეების დათვლასთან ერთად დაიხურება პროგრესიული გზაც სოფლათ თუ ქალაქათ საქართველოს,—აი სად არის საფრთხე!

ამას ვერ გრძნობენ ნებსით თუ უნებლიეთ კომუნისტ ბალშევიკების —მემარცხენე ესერების უპასუხისმგებლო ჯგუფები!

მაგრამ მათი გულის წადილი მენშევიზმის დამარცხების შესახებ არც ისე იოლი განსახორციელებელია. მისი დღეების დათვლა ასეთ უპასუხისმგებლო ჯგუფებს არც შეუძლია.

მენშევიზმს უფრო ღრმათ აქვს ფესვები სინამდვილეში. და თუ სოხუმის გლეხები მალე მიხვდებიან „ბალშევიზმის სახით წამოსკუპებულ ახალ ბატონების ავარგისობას, ჩვენ გვრწამს, არც სამეგრელოს გლეხები გამოიჩენენ სოხუმელებზე ნაკლებ შეგნებას და გამოცდილებას. პირიქით, ისინი ამ თავითვე შეეცდებიან არ გაიმეორონ მეზობლების შეცდომა. რამდენიც უნდა უმღერონ ქუთათურმა ესერებმა გლეხები მაინც თავის ძველი ნაცადი გზით წავლენ და მივლენ კიდეც გამარჯვებამდე.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

17 აპრილი.

**მოსკოვი.** სახალხო კომისართა საბჭომ 25 აპრილის თარიღით შემდეგი ნოტა მიიღო უკრაინის მინისტრთა საბჭოსაგან: „თქვენი ნოტის საპასუხოდ, რომელიც ჩვენი ელჩისაგან მივიღეთ ბერლინიდან 14 აპრილს, გაცნობებთ: მოუხერხებლათ მიგვაჩნია სიშორის გამო სმოლენსკში გავმართოთ მოლაპარაკება. ჩვენი წინადადებაა მოლაპარაკება გავმართოთ კურსკში. ჩვენი დელეგაცია მოვა 21 აპრილს. ამასთან ერთად უკრაინის რესპუბლიკის საბჭო წინადადებას გაძლევს თქვენ: 1) მოსპოთ ყოველგვარი ძალადობა იმ უკრაინელთა წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. 2) ჩვენი „კოლონიების" მიერ არჩეული პირნი, რომელნიც ამრჩეველთა ნდობით სარგებლობენ, სცნათ ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებათ ელჩების უფლებებით და აღმოუჩინოთ მათ ყოველგვარი დახმარება. ასეთ პირებათ პეტროგრადში უნდა სცნოთ პეტროგრადის უკრაინელ მოქალაქეთა კომიტეტის თავმჯდომარე და მოსკოვში მოსკოვის „კოლონიის" უკრაინული საბჭოს თავმჯდომარე. 3) იმ პირთ, რომლებიც თავს უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქეებათ თვლიან და ამის შესაფერი მოწმობებიც აქვთ ხელი არ შეუშალოთ უკრაინაში დაბრუნებაზე. 4) ხელი არ შეუშალოთ უკრაინულ ენაზე გაზეთების და წიგნების გამოცემას". საგარეო საქმეთა კომისარმა შემდეგი უპასუხა: თანახმა ვართ მოლაპარაკება გავმართოთ კურსკში. 28 აპრილს ჩვენი დელეგაცია იქ იქნებაო.

**პეტროგრადი.** პეტროგრადის დაცვის ხელმძღვანელმა გენ. შვარცმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ რუსეთ-ფინლიანდიის საზღვარზე არც იმდენათ საშიშროთ არის საქმე. პორტი ინე მტრისთვის არ ჩაგვიბარებია, ის ავაფეთქეთ და კიდეც დავიცავთო. მიუხედავათ იმისა, რომ თეთრ გვარდიელთა ულტიმატუმის ვადა გავიდა, ისინი სამხედრო მოქმედების დაწყებას მაინც არ აპირებენო.

ნოვოზიბკოვის მიმართულებით სუსტი სროლაა. ოლხოვატკის რაიონში სივერსის საგანგებო არმიის ფრონტზე შეტაკება აქვთ ცხენოსან მზვერავებს. კუპიანის მიმართულებით ბრძოლა სწარმოებს სად. ტეკელთან. მტერი თავის ძალებს ბოლჩანსკის რაიონში აგროვებს. მეხუთე არმიის რაიონში მტერმა წინ წამოიწია რკინის გზის გასწვრივ ნირკოვიდან ლუგანსკამდე და დაიკავა სად. სენტიანოვი. ბახმუტთან მოსასვლელი გზები ჩვენ მიერ გამაგრებულია. მეორე არმიამ სასტიკი ბრძოლის შემდეგ ბოლხოვიტაის რაიონში დაიკავა ავდეევო და ბრძოლით მიიწევს იასინოვატაიამდე. პირველმა არმიამ კონტრ-იერიშით გასტება მტერი და იერიშით მივიდა მასზე. აქ მტერი სანგრებიდან გარეკილ იქნა. პირველ არმიის ნაწილმა მიაღწია სად. ვოლხოვატაიდან 21 ვერსზე.

რუსეთის კომინისტური პარტიის ცენტ. კომიტ. დაადგინა გარიცხონ პარტიიდან ყოფილი საზღვაო კომისარი დიბენკო, ვინაიდან ის „პოგრომულ" აგიტაციას ეწეოდა საბჭოთა მთავრობის მტრულ პრესაშიო.

2 მაისი.

**ვენა.** დასავლეთ ფრონტზე საომარი მოქმედება განახლდა.

**სტამბოლი.** გერმანიის ცნობა. დასავლეთ ფრონტზე ფლანდრიაში ქვეითა ჯარებს უმნიშვნელო შეტაკებები ჰქონდა. მტერს გამაგრებული აქვს ლოკრი; იქიდან მტერმა ამაოდ სცადა წინ წამოწევა. ძლიერი საარტილერიო სროლა იყო გუშინ კემელთან, რომელიც შეღამებისას შესწყდა. მაკედონიის ფრონტზე ვარდასა და დაირას შორის ძლიერი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ჩვენ წინ წავიწიეთ.

**ლონდონი.** ბრიტანეთის მთავრობამ კომისია შეადგინა, რომელსაც უნდა გაეთვალისწინებია იმის შემდეგ თუ რანაირი სავაჭრო-სამრეწველო პოლიტიკას დაადგეს ინგლისი. ამ კომისიის მიერ გამოცემული ანგარიშის თანახმათ უნდა აღკრძალულ იქნას მეომარ სახელმწიფოებიდან ინგლისში საქონლის შეტანა 12 თვის განმავლობაში.

**ცარსკოე სელო.** რადიო დეპეშა. მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია საფრანგეთის ელჩის განცხადება ვლადივოსტოკში იაპონელთა ჯარების გადმოსხმის შესახებ. ამ განცხადებაში ელჩი ამბობს, რომ იაპონელთა ჯარების ვლადივოსტოკში გადმოსხმა გამოიწვია იმ ხანგრძლივმა ანარქიამ და არეულობამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა იქ და საფრთხეში აგდებდა უცხო ქვეყნის ქვეშევრდომთ და მათ ქონებას. იაპონელთა საკითხის ლიკვიდაცია მაშინ მოხდება, უკეთუ იაპონიის მთავრობას დააკმაყოფილებენ. შემდეგ ელჩი აღნიშნავს, რომ გერმანია თანდათან გაბატონდა როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში და მთელი რუსეთის ხელში ჩაგდება სურს, ამას კი მოკავშირენი გულგრილათ ვერ შეხედავენ და თუ ოდესმე მოკავშირეებს მოუხდათ სამხედრო მოქმედება, მხოლოდ მარტო იმ აზრით, რომ დაიცვან საერთო ინტერესები, რუსეთის საზოგადოებრივ აზრთან შეთანხმებით და მათ არავითარი განზრახვა არა აქვთ ჩაერიონ რუსეთის შინაურ საქმეებში, რომელიმე მისი ნაწილის შესაერთებლათ. ასე რომ, თვით ციმბირშიაც რომ მოხდეს ნემეცებთან ბრძოლა, ამას მხოლოდ მეგობრული ხასიათი ექნება.

**კონსტანტინეპოლი.** პალესტინის ფრონტი სეგერიას დასავლეთით ინგლისის ძლიერ ჯარებს უნდოდათ ჩვენ თხრილებში შემოჭრა, მაგრამ ძლიერი ცეცხლი გავუჩინეთ და გავფანტეთ.

**ვენა.** სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

**ინგლისის რადიო-ცნობა** ატლანტიკის იქითა პრეს ბიურო იტყობინება, რომ სამთა კავშირის იტალიის, საფრანგეთის და ინგლისის შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. თითქოს კლემანსო დაბეჯითებით მოითხოვს დაუთმონ ავსტრიას იტალიის ტრენტინო და სამაგიეროთ საფრანგეთი მიიღებს ელზას-ლოტარინგიას.

## პროლეტარიატის დღესასწაული

(პირველი მაისი თფილისში).

თითქოს ნიშნათ კმაყოფილებისა იმის გამო, რომ ამიერ კავკასიის პროლეტარიატს კვლავ მაღლა უჭირავს რევოლიუციონური დროშა, ბუნებაც ხელს უწყობდა პირველ მაისის ღირსეულათ ჩატარებას თფილისში. ცხრათვალა მზე უხვათ აფრქვევდა თავის ცხოველმყოფელ სხივებს მიდამოს და მშრომელთა უბნებიდან, ბნელ, ნესტიან სარდაფებიდან იწვევდა პროლეტარიატს სადღესასწაულოთ.

დილის ათი საათია. წითელ დროშებით მორთული თფილისის ქუჩები ამოძრავდა. ქალაქის სხვადასხვა ნაწილებიდან წითელი დროშებითა და მარსელიოზის სიმღერით მოდიან მუშათა რაზმები სახაზინო თეატრისაკენ. აქ თეატრის წინ, გოლოვინის პროსპექტზე თავს იყრის თფილისის პროლეტარიატი. აქ თავის დროშების ქვეშ დგანან სხვადასხვა ფაბრიკების, სხვადასხვა ქარხნებისა და დაწესებულებების მუშები. აქ არის თფილისის პროლეტარიატის მოწინავე ლაშქარი—მთავარ სახელოსნოს მუშები, აქ არიან ბოზარჯიანცის ფაბრიკის, ბეჭდვითი საქმის, რკინის გზის დეპოს და სხვ. მუშები. ჰაერში ფრიალებენ წითელი დროშები საერთაშორისო პროლეტარიატის იდეოლოგთა სურათებით, მარსელიოზის გუგუნი შორს, შორს გაისმის სივრცეში, რამდენიმე ადგილიდან მოისმის მუსიკის დამატკბობელი ხმა.

პროლეტარიატი გრძნობს, რომ პირველი მაისი,—ეს მისი საკუთარი კლასიური დღესასწაულია. ამიტომ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ დღესასწაულში. ისინი კი, ვინც ბედით კმაყოფილია, ვინც უდარდელათ, უზრუნველათ სცხოვრობს, ვისაც პირველი მაისი არაფერს ეუბნება—იგი არ ღებულობს მონაწილეობას დღესასწაულში, პროლეტარიატის რაზმებს მოშორებული, იგი განცალკევებული და ერთობს გოლოვინის პროსპექტზე, ან განაგრძობს თავის ყოველდღიურ „საქმიანობას". ამიტომ პირველ მაისის დღესასწაულს ნამდვილი პროლეტარული ხასიათი ჰქონდა. და ეს გარემოება ერთგვარ სიხარულსა და კმაყოფილებას იწვევდა, ყველასთან გრძნობდი ინტიმურ კავშირს, მეგობრულ განწყობილებას. ყველანი ერთი ოჯახის წევრათ გრძნობდა თავს, მათ შორის ადგილი არ ჰქონდა უცხო სტუმრებს...

12 საათია. თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ი. ქარცივაძე მიტინგს გახსნილათ აცხადებს. პირველათ ქართულ ენაზე ლაპარაკობს ძველი რევოლიუციონერი მუშა ამხ. ვლასა მგელაძე. გამოდიან კიდევ რამდენიმე ორატორები. ყველას ტაშისცემით, სიხარულით ეგებებიან. მაგრამ მაინც ემჩნევა, რომ ხალხი მოუთმენლად მოელის თუ როდის გამოჩნდებიან ტრიბუნაზე პროლეტარიატის ბელადები ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე, გეგეჭკორი...

გადის რამდენიმე წამი. აგერ მეორე ტრიბუნაზე გამოჩნდა მაღალი, მიმზიდველი სახის ორატორი. იგი ღრმათ ჩაფიქრებული, ცეცხლის მფრქვევ თვალებით დაჰყურებს ზღვა ხალხს. ხალხი შეინძრა, შეტორტმანდა. წერეთელი, წერეთელი—გაისმის აღელვებული ხმები. ყველა წერეთლის ტრიბუნისაკენ მიიწევს, ყველა ცდილობს მოხერხებული ადგილი დაიჭიროს, რომ არც ერთი სიტყვა თავის ბელადისა მის სმენას არ ასცდეს. კიდევ რამდენიმე წამი და სიჩუმეც ჩამოვარდა. და გაისმა სახალხო ტრიბუნის არწივისებური ყივილი... ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვით ჩვენ ვაკეთებთ საერთო საქმესაც, რამდენიმე ხანს კიდევ თუ გავძელით, საერთაშორისო პროლეტარიატის რეზერვებიც მონახავს თავის პოზიციებს და უფრო მედგრათ, უფრო მტკიცეთ შეებრძოლება მილიტარიზმის შავ დროშასო. ეს სიტყვები მშრომელის გულს მალამოთ ედება და იმედის სხივებით ათბობს მას. შევფიცოთ აქ, რომ უბრძოლველათ არ დავსთმობთ ამ წითელ დროშებს—ამბობს წერეთელი. და პროლეტარიატიც მქუხარე ტაშით იზიარებს ამ სიტყვებს...

— ჟორდანია, ჟორდანია,—ისმის ხმები. ხალხი მოითხოვს ნოე ჟორდანიას ტრიბუნაზე ასვლას.

აგერ გამოჩნდა კიდეც კავკასიის არწივი, ჭაღარით შემოსილი ბელადი პროლეტარიატისა. ხანგრძლივი, მქუხარე ტაში. ისმის ხმები: „გაუმარჯოს ჟორდანიას, გაუმარჯოს ჩვენს ჭაღარა ბელადსო"... წერეთლის შემდეგ ლაპარაკობს ევგენი გეგეჭკორი, ვოიტინსკი, ნოე რამიშვილი, ივ. ლორთქიფანიძე, ლ. თუმანოვი და სხ.

შემდეგ გადმოდიან მეორე ტრიბუნაზე. აქ ირ. წერეთელმა სიტყვა ქართულათ და რუსულათ წარმოსთქვა. აქვე ილაპარაკა კარლო ჩხეიძემ. სად არის ის გმირი, საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელმაც უნდა გაანთავისუფლოს კაცობრიობა? სადაც უნდა იყოს იგი დღეს, ჩვენი სალამი მას. ჩვენ მას ვეუბნებით დღეს, რომ ჩვენ კვლავ განვაგრძობთ თავის პოსტზე დგომას და უწვდით მას ხელს,—ამბობს კარლო.

კვლავ მქუხარე ტაში, კვლავ ოვაციები...

ლაპარაკობენ კიდევ რამოდენიმე ორატორები. აქედან მწყობრათ დარაზმული გაემართენ სასახლისაკენ. სასახლის წინ ისევ გაიმართა მიტინგი. ილაპარაკა სხვათა შორის სამხედრო მინისტრმა გრ. გიორგაძემ.

საათის ოთხი იქნებოდა, როცა მიტინგი მწყობრათ დაიშალა და დღესასწაულიც დასრულდა.

პროლეტარიატი თავის უბნებს დაუბრუნდა იმ რწმენით, რომ შემდეგში იგი უფრო უკეთეს პირობებში იდღესასწაულებს შრომის დღეს, პირველ მაისს.

ვენე.

## კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

17 აპრილი.

შავი ზღვის პირის რაიონში ცვლილება არ მომხდარა.

ყარსის მიმართულებით მიღებული ბრძანების თანახმათ ჩვენმა ჯარებმა მდ. არპაჩაის მარცხენა ნაპირისაკენ დაიხიეს. 16 აპრილს ალექსანდროპოლის ციხის სიმაგრეები არპაჩაის მარჯვენა ნაპირზე ავაფეთქეთ.

ერევნის მიმართულებით ოსმალებმა დასცალეს სოფ. ორგოვი.

## ახალი ამბები

**საგუბერნიო შრომის კომისარიატი** შემდეგს აცხადებს: ვინაიდან ბევრი სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებები და პროფესიონალურ კავშირები მიმართავენ კომისარიატს ახსნა-განმარტებისათვის ვნების კვირაში პარასკევს და შაბათს მუშაობის შესახებ, შრომის კომისარიატი განმარტავს: 8 საათის სამუშაო დღის დეკრეტის მე 20 მუხ. თანახმად წითელი პარასკევი და დიდი შაბათი უქმე დღეებია. ეს დადგენილება ეხება ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს და იმ მეურნეობას, სადაც დაქირავებული შრომაა. შრომის კომისარიატი ამასთანავე დასძენს, რომ როგორც გამონაკლისი, პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით ამ დღეებში შეიძლება მუშაობა, უკეთუ სამუშაო პირობები ამას მოითხოვს შრომის ორმაგი ფასის ანაზღაურებით.

„ერთობის" შემდეგი ნომერი უქმეების გამო გამოვა ხუთშაბათს, 9 მაისს, თანახმად ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირის დადგენილებისა.

◆ **საზავო მოლაპარაკება.** საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებულ ცნობების მიხედვით ოსმალეთის საზავო დელეგაციის შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება მოხდება: რაუფ ბეის მაგივრად დელეგაციის თავმჯდომარედ იქნება ოსმალეთის ფრონტის მთავარსარდალი ფერიკ-ვეხიბ-მეჰმედ-ფაშა, დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ, სხვათა შორის, საზღვაო და იუსტიციის მინისტრი ხალილ-ბეი, რომელიც დროებით საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას ასრულებს. ტრაპიზონის მოლაპარაკებაში რომ მონაწილეობას იღებდა, ჰუსრეფ-ბეი, დელეგაციაში აღარ შევა. ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაცია გუშინ იქნა არჩეული. თავმჯდომარეთ იქნება მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელი. დელეგაციის წევრთა რიცხვი 6 კაცითაა განსაზღვრული.

◆ **რუსეთის დემოკრატიისადმი მიმართვა.** სეიმის მენშევიკების ფრაქციამ დაადგინა მიმართოს რუსეთის დემოკრატიას და აღნიშნოს, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება აუცილებლობა იყო, რაიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს არა მეგობრულ განწყობილებათ რუსეთის დემოკრატიასთან, რომელთანაც განუყრელი ნათესაური კავშირი გვქნება.

◆ **სეიმის** მუშაობა აღდგომის დღესასწაულების გამო არ შესწყდება.

◆ **სურსათის შესაძენათ** ქალაქთა თვითმართველობები სესხს სთხოვენ მთავრობას. გორი სთხოვს 250 ათას მანეთს, ლაგოდეხი—60 ათასს, სამტრედია—200 ათას, განჯა—500 ათასს, ალექსანდროპოლი—1 მილ., ერევანი 2 მილიონს.

**მთავრობის სხდომა.** 17 აპრილის სხდომაზე მოსმენილ იქნა თერგის სახალხო საბჭოს დეპეშა იმის შესახებ, რომ თერგის მხარეს არა სურს ამიერ-კავკასიის პოლიტიკაში მონაწილეობა. მთავრობამ დაადგინა: განუცხადოს თერგის სახალხო საბჭოს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკას არა აქვს განზრახული თავის ტერიტორიას რაიმე ოლქები შეუერთოს, ხოლო თუ დაღესტანის და თერგის მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლები განაცხადებენ შემოერთების სურვილს, ფედერატიულ საფუძველზე, მთავრობა მიესალმება ამ სურვილს, ამასთანავე ამის შესახებ განზრახული არ არის მოლაპარაკება ოსმალეთთან. ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაციის გამგზავრების დღის შესახებ მთავრობამ დაადგინა აუწყოს ოსმალეთის მთავრობას, რომ რესპუბლიკის საზავო დელეგაცია მზათაა ყოველ საათში გაემგზავროს, მაგრამ რადგანაც საჭიროა მთავრობის წევრების დარჩენა სატახტო ქალაქში ეხლა, როდესაც სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობა სწარმოებს, ეთხოვოს ვეხიბ-ფაშას შეგვატყობინოს, როდის მოვლენ ტრაპიზონში ოსმალეთის წარმომადგენელნი. მთავრობამ დაადგინა თფილისიდან ბათუმში გამგზავრების უზრუნველსაყოფად ეთხოვოს ვეხიბ ფაშას აღდგენილ იქნეს რკინის გზის ლიანდაგი ბათუმთან ბრძოლის ველზე.

◆ **ფინანსთა მინისტრს** წინადადება ეძლევა დააკმაყოფილოს რკინის გზის მოსამსახურეთა საჭიროებანი. ამისთვის 3 მაისს გაიღოს 3 მილიონი. 93 მილიონი მან. გადაიდოს რკინის გზისთვის და სარკინიგზო სასწავლებლებისთვის.

◆ **ერევნის ფრონტზე** ოსმალეთის მთავრობის ბრძანებით ოსმალთა ლაშქარმა საზღვრებისაკენ დაიხია.

◆ **ლტოლვილნი.** მზრუნველობის მინისტრმა დეპეშით შეატყობინა განჯის კომისარს მანასიანცს: აუარებელ ლტოლვილთა დაბინავება თფილისში ძალიან გაძნელდება და დიდ უწესოებს გამოიწვევს შინაურ ცხოვრებაში. საჭიროა შეაჩეროთ დროებით მაინც ლტოლვილთა მოძრაობა. ვეხიბ ფაშას დეპეშას ვუგზავნით, რომ მიიღოს ენერგიული ზომები ქრისტიან მცხოვრებთა სიცოცხლის და ქონების დასაცავათ. ლტოლვილთა დასახმარებლათ მთავრობას ვსთხოვეთ 10 მილიონი მანეთი. ადგილობრივ ინიშნება მზრუნველობის მინისტრის რწმუნებულნი ძამოვი და აგამალიანი.

◆ **თავდასხმა.** 15 აპრილს დიდი მთავრის ქუჩაზე მიმავალ მილიციონერს კახეთელაძეს თავს დაესხნენ ქართული პოლკის ჯარისკაცები, წაართვეს ნაგანი 7 პატრონით, 100 მან ფულად, სცემეს და მიიმალენ.

◆ **დამცველმა შტაბმა** დააპატიმრა ყაზახი დიმიტრიევი ნებადაურთველად იარაღის ტარებისათვის, ჯარისკაცი სარქისიანცი წითელ გვარდიელის ცემისთვის. მეზღვაური რეიტერი.

◆ **გაერთიანებულ ცენტრის** მორიგი სხდომა დღეს არ შესდგება.

◆ **„ალიონის"** რედაქცია ამით აცხადებს ხელის მომწერთა და მკითხველთა საყურადღებოთ, რომ ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო გაზეთის გამოცემა დროებით შეჩერებულია.

◆ **მკვლელობა.** 17 აპრილს ელისაბედის ქუჩაზე დოლიძის მინდორზე საავიაციო ნაწილის ჯარისკაცმა ი. სამოდუროვმა მოკლა ჯარისკაცი ი. კიროლევი, რომელსაც ვინტოვკა მოეპარა.

◆ **არმავირში ვერაგულათ დახვრეტილთა შესახებ.** როგორც კავკავიდან ატყობინებენ ეროვნულ საბჭოს, არმავირში ვერაგულათ დახვრეტილთა გამოსვენება ცოტა ხნით შეფერხებულია. დაწვრილებითი ცნობები შემდეგში იქნება გამოცხადებული.

◆ **ქალთა ს.-დემოკრატიული [illegible]** რ. ს. დ. მ. პ. მეექვსე [illegible] ორგანიზაციაში შესდგა ქალთა ს.-დემოკრატიული კავშირი, რომლის მიზანია ქალებში მუშაობა და მათი ორგანიზაცია. აირჩიეს კოლექტივი და ორი ქვეკოლექტივი. აირჩიეს აგრეთვე პრეზიდიუმი შემდეგ პირებისაგან: იცინა, ფარსეღიანი, ატოევისა, კიკნაძე და კობიაშვილი.

◆ **სანაინის ორგანიზაციის საყურადღებოთ.** ამხ. ლ. ელბაქიანი შაბათს 4 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე სანაინში წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე—„ომი და ზავი" და „ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა".

◆ **გაზეთის არ გამოსვლა.** სამშაბათს ტეხნიკური მიზეზების გამო „ერთობა" პროვინციაში არ გაგზავნილა.

◆ **ჯალალოღლი.** აპრილის 16 მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ გაგზავნილი მთავრობის წარმომადგენელი ივ. თუმანიანი დეპეშით იტყობინება: ბამბაკის რაიონის დაზარალებულ თათრებს დახმარება სჭირია, თუმცა მათ ყველა წართმეული ქონება დაუბრუნეს.

◆ **სეიმმა დაადგინა** ფინანსთა მინისტრს ნება მისცეს 200 მილიონი მანეთის ბონები კიდევ გამოუშვას.

◆ **სალიტერატურო დილა.** აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს, მაისის 6 სახალხო სახლში გაიმართება სალიტერატურო სამუსიკო დილა. 1) ივ. გომართელი—ლექცია: „თანამედროვე მომენტი"; 2) გ. ქუჩიშვილი—ახალი პოემა: „კოშკში"; 3) ძმანი კავსაძენი—სიმღერა, ილ. ქურხული—სკრიპკა, ი. საღირაშვილი—თარი; 4) ვ. რუხაძე, ობოლი მუშა, დ. ახვლედიანი და ვ. საათაშვილი—ლექსები; 5) ნ. გოცირიძე, გ. იორდანიშვილი და რ. ჯიბილა—სცენები, ბილეთების ფასი სახალხოა, იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში ნაშუადღევის 12 ს—დან 2 ს—დე, საღამოს 6 ს—9 ს—დე.

### კრებები და მიტინგები.

კვირას, 5 მაისს შუადღის 12 საათზე შესდგება „ბორბის" კანტორაში საგამომცემლო კომისიის კრება. დღის წესრიგი: მდივნის მოხსენება, ფინანსიური ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება, გამომცემლობის ორგანიზაციის მოწყობა, განცხადებანი და მიმდინარე საკითხები. სთხოვენ კოლექტივების საოლქო და თფილისის კომიტეტების წარმომადგენლებს დაესწრონ კრებას.

— დღეს, 3 მაისს, საღამოს 5 საათზე, შესდგება ქალთა საერთო კრება მეოთხე რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის (უდელნაია 3).

— დღეს, საღამოს 6 საათზე, მეოთხე რაიონის წითელ გვარდიელთა შტაბის შენობაში დანიშნულია ამავე რაიონის წითელ გვარდიელთა საერთო კრება.

## მუშათა წერილები

### პირველი მაისობა თფილისში

(ნახული და გაგონილი).

საუკუნეთ შთანთქა უფსკრულში ის შავ-ბნელი დრო, როდესაც მუშათა კლასი თავის დღესასწაულს—პირველ მაისს—რომელიმე უბანში ჩუმათ დღესასწაულობდა.

მაშინ ეს დღესასწაული მუშათა კლასს ხშირათ ძვირათ უჯდებოდა: არა ერთი და ორი ამხანაგი დაუტყვევებიათ ამ დღეს და ცივ ციმბირში, ციხე-კატორღებში, გაუგზავნებიათ.

მიუხედავათ ამისა, მუშათა კლასი მუდამ იბრძოდა საუკეთესო მომავლისათვის.

პირველი მაისის დღესასწაული—ეს პროტესტია იმპერიალისტებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ მიმართული.

თფილისის დემოკრატიამ მთელი ქვეყნის დემოკრატიასთან ერთათ იდღესასწაულა პირველი მაისი.

თფილისის ქუჩები არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა: ქალაქის ყველა ნაწილებიდან მოდიან მუშათა რაზმები წითელი დროშებით გოლოვინის პროსპექტისაკენ.

თორმეტ საათზე გოლოვინის პროსპექტზე ხალხის ტევა აღარ იყო. რამდენიმე ადგილას უკრავს მუსიკა.

ხალხი მოუთმენლათ მოელოდა მიტინგის გახსნას. საათის პირველზე სახაზინო თეატრის წინ მიტინგი გახსნა ი. ქარცივაძემ. პირველი სიტყვა ვლასა მგელაძემ წარმოსთქვა. ჯერ მას სიტყვა არც კი დაესრულებინა, რომ ცნობის მოყვარე ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა: წერეთელი ხომ აქ არისო?!

აგერ ვიღაც გამოჩნდა ტრიბუნაზე.

— წერეთელი ეგ არის?—შემეკითხა ერთი ჩემს ახლო მდგომი სამხედრო პირი. არა-მეთქი,—ვუპასუხე. უკვე რამდენიმე ორატორმა ილაპარაკა ამ ტრიბუნიდან, მაგრამ ხალხს რაღაც უკმაყოფილება ეტყობოდა. ალბათ იმიტომ, რომ მათ ტრიბუნაზე ჯერ ვერ ნახეს თავის საყვარელი ორატორები. ხალხის ჩუმმა უკმაყოფილებამ ჩქარა გადალახა საზღვარი და გაისმა ხმები:

— სად არის ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე და სხვები?

და აი აგერ, ტრიბუნაზე გამოჩნდა ორატორი.

— წერეთელი, წერეთელი!—ყველამ ერთხმათ გაიძახა და მქუხარე ტაშით ყველა მისკენ გაექანა.

— წერეთელი რატომ ამ ტრიბუნაზე არ ამოვიდა—ნაღვლიანათ შემეკითხა ერთი მანდილოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერა-კითხვის საზოგადოება

კვირას, 12 მაისს, დღის 12 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები: 1. 1916—1917 წლების საზოგადოების გამგეობის მოქმედების ანგარიში (§ 18). 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3. მთავარი გამგეობის მოხსენება საზოგადოების სამოქმედო გეგმის შესახებ. 4. 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვა 5. მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა (§§ 17,31.). 6. სასკოლო, ბიბლიოთეკების და სახალხო კითხვების მომწყობი, წიგნების გამომცემელი და სამუზეუმო სექციათა არჩევნები. საზოგადო კრებას ესწრებიან განყოფილებათა რწმუნებულები (თანახმად წესდების მე-15 მუხლისა). რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე შესასვლელი ბილეთები. პროვინციებიდან ჩამოსულმა რწმუნებულებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები იმის დასამტკიცებლათ, რომ ისინი ნამდვილათ არჩეულნი არიან რწმუნებულებათ.

ახალი წესდების თანახმათ კრებას ესწრებიან გადამწყვეტი ხმით მხოლოდ საზოგადოების განყოფილებათა რწმუნებულები.

რწმუნებულები ჯერ-ჯერობით არჩეულნი არიან შემდეგ განყოფილებათაგან: ახალციხის, ბათუმის, ბაქოს, განჯის, გორის, გუმბრის, ლანჩხუთის, სენაკის, სიღნაღის, სოხუმის, ტუაპსის, ჭიათურის, ხონის და თფილისის.

# მუშათა წერილები

## ბალშევიკები და სინამდვილე.

დღეს უკვე ფაქტათაა ცნობილი—ლენინმა და მისმა კომპანიამ დაღუპა რუსეთი. დღეს ფორმები ამ ფაქტებისა ნათლათ სჩანს და მიუდგომელი ისტორია მას სისწორით აღნიშნავს. არაა საეჭვო, რომ რუსეთის დღევანდელ მომენტს კერენსკის დროს მომენტი სჯობდა. მართალია, ბედნიერებას მაშინაც მოკლებული ვიყავით,—შიმშილი და ომის შედეგები სულს გვიხუთავდა, მაგრამ შედარება მომენტისა ჭეშმარიტ ფაქტათ რჩება და მისი გათვალისწინება არც ისე ძნელია, არც ისაა ძნელი, რომ ომის გაგრძელებით გერმანიას თუ ვერ დავამარცხებდით, საპატიო ზავს მაინც მივაღწევდით. აგერ ნახევარ წელზე მეტია, რაც გერმანია რუსეთის ლაშქრის შეტევისაგან განთავისუფლდა, მაგრამ მოკავშირენი მაინც ვერ დაამარცხა. სჩანს, იგი ხანგრძლივ ომით საგრძნობლად დაიქანცა. ასეთი ომის გაჭიანურება, რომელსაც რუსეთი მაინც ვერ ასცდა უფრო მოსახერხებელი იყო კერენსკის მთავრობის დროს, მაგრამ ბალშევიკურმა მოძრაობამ გერმანიას სამსახური გაუწია ტ ვინ იცის, იქნებ ვილგელმი ნიკოლოზის ბედსაც აცდინა. ჩვენ ამას ადრევე ვგრძნობდით, მაგრამ ვერ გრძნობდენ ბალშევიკთა მებაირახტრენი. მათმა მოღვაწეობამ გერმანიის იმპერიალისტებს გამარჯვება მოუპოვა და მით ინტერნაციონალური ბრძოლა გაართულა. მათ გამარჯვებას ფრონტის გაშიშვლება მოყვა და ჩვენი თავისუფლებაც საფრთხის წინ მოაქცია. კავკასიის ბედიც დაღუპვის პირს წაიყვანეს, მაგრამ ჩვენი ბალშევიკები ამასაც ვერ გრძნობენ. ისინი გვირჩევენ ლენინის ტაქტიკას და მით სოციალიზმისკენ გზის გაკაფვას. ნამდვილათ კი, ეს ნიშნავს პროგრესის მაგიერ რეგრესისკენ გადახრას. კავკასია წვრილ ერთა ქვეყანაა და სამოქალაქო ომი ეროვნულ ხოცვა-ჟლეტათ გადაიქცევა. მრავალ მილიონიანი რუსეთისთვის შიში ეროვნულ სიკვდილისა არ არსებობს. კავკასიის წვრილ ერთათვის კი ეს შიში არსებობს. ამიტომ სამოქალაქო ომი რუსეთისთვის თუ ასატანია, ასე ვერ ითქმის კავკასიის წვრილ ერებზე. მაშასადამე, ჩვენი ტაქტიკა და მოქმედება არ შეიძლება ისე მიმდინარეობდეს, როგორც მრავალ მილიონიან რუსეთისა. ყოველი რთული შენობა საჭიროებს გეგმას და იმ გეგმის სისწორით შესრულებას. სახელმწიფოს გარდაქმნაც საჭიროებს გეგმას და ჩვენ ის გაგვაჩნია პოლიტიკური ეკონომიის და მისი პროგრამის სახით. ვინც მას აღვიარებს და არ ასრულებს, ის ცრუ სოციალისტათ ჩაითვლება.

რას გულისხმობს პროგრამის მეცხრე პუნქტი? ერთა თვითგამორკვევა სრულ გამოყოფამდე. ჩვენ ეს მუხლი იძულებით შეგვასრულებინეს და თუ ბალშევიკები მის წინააღმდეგ მიდიან, სჩანს, ისინი ცრუ-სოციალისტები ყოფილან. ბევრმა ეს შეიგნო და მათ თავის დროზე განშორდა, მაგრამ ბევრი მათთან დარჩა და ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მტრებს გვერდში ამოუდგა. ისინი ათას ჭორებს ავრცელებენ მთავრობის წინააღმდეგ და მას ებრძვიან. ეს ხდება იმ დროს, როდესაც მტერი გარს გვახვევია და შინ შემოჭრას ლამობს. თუ საფრანგეთის რევოლიუციონერები შეერთებულის ძალით გარეშე მტერს ებრძოდენ, აქ, პირიქით, გარეშე მტერს შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ხელს უწყობენ. ამიტომ ეს რევოლიუციონერობას კი არ ნიშნავს, ეს ნიშნავს დემოკრატიის და მის პრინციპების ღალატს. ვინც ამის ვერ ამჩნევს, ის ან ბეცია ან განგებ არ უნდა დაინახოს. დროა ამას დემოკრატიამ ანგარიში გაუწიოს, ბალშევიზმი უარყოს და მით მტრის გამარჯვება თავიდან აიშოროს, თორემ ოსმალეთის გამარჯვება ინგლისის ომში ჩაგვაბამს და მაშინ მობალშევიკე სალდათები ჩვენ ველარ გვიშველიან. ისინი კვლავ ომს დაემალებიან და ხალხი კი მას ვერსად დაემალება.

ჩვენ გვირჩევნია სამშობლოს მიწა წყალზე დავიხოცნეთ, ვინემ ოსმალეთის უდაბნოში გველებისა და ლომების კერძათ გავხდეთ. მაშ, ვენდოთ მთავრობას და მის დაძახილზე ყველანი მზათ ვიყვნეთ. ის მოგვიპოვებს ზავს და შეუდგება ჩვენთვის სასურველ რეფორმების განხორციელებას. თუ მან ზავი ვერ შესძლო, უნდა გვწამდეს, რომ ეს მტრის ბრალი იქნება, რის გამო აუცილებლათ ომი არ აგვცდება. მაშინ ჩვენი დევიზი უნდა იყვეს: ან სიკვდილი ან გამარჯვება. რადგან დამორჩილება ომს მაინც ვერ აგვაცდენს და ოსმალეთი, ვიმეორებ, ინგლისის წინააღმდეგ გამოგვიყვანს. ასეთი ომი ჩვენთვის უფრო აუტანელი იქნება. მერე კი სინანული ვერას გვიშველის. ბალშევიკების გაბატონებამ და კერენსკის მთავრობის დაცემამ ჩვენ ეს მოგვიტანა და ჩვენ ეხლა მაინც მივხდეთ და დავუჭიროთ ჩვენს მთავრობას. ყველანი უნდა შევერთდეთ და ავათ თუ კარგათ გადვიტანოთ ბალშევიკების შეცდომებით კარზე მომდგარი გაჭირვებანი.

მაშ გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას და მის სად პოლიტიკას!

გაუმარჯოს კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკას!

მუშა მიხ. დევაძე.

---

ნეს მეორე კრება, სადაც მიწვეულნი იყვნენ მახლობელ სოფლიდან მოწინავე ამხანაგები. მეორე კრებაზე რევოლიუციონერებმა გაიმარჯვეს და ხულიგანებმა ძლივს 5 პროც. საზოგადოებისა შემოიკრიბეს თავის გარშემო. როდესაც შევეკითხეთ, თუ რათ მიემხრენ პირველ კრებაზე ხულიგანებს, ხალხმა გვიპასუხა: რა ვქნათ, ესენი მკვლელები არიან შეგვაშინეს და შიშით ყველა მაგათი კაცები ავირჩიეთო.

აქედან მხოლოდ იმის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ დაუყონებლივ სოფლის ხულიგანებზე იერიში უნდა მივიტანოთ. რევოლიუციონურმა ძალამ უნდა შეუბრალებლად გაჭკვიროს მტრის მკერდი. დამარცხება-გამარჯვებაზე ამჟამათ ლაპარაკი ზედმეტია, უნდა შევუდგეთ საქმეს. მთელი ჩვენი ძალა მთელი თავისი ტექნიკით უნდა ავამოქმედოთ და თუ ამ ბრძოლაში დავმარცხდებით, ეს დამარცხება უფრო კანონიერი იქნება რევოლიუციის თვალთა ხედვის ისრით, ვიდრე გაუბედავი ნაბიჯებით სიარული და ისე დაღუპვა.

პრაქტიკული ნაბიჯები აქ ჟამათ უნდა იყოს ასეთი: ამ ჟამათ სიღნაღისა და თელავის მაზრებში და მათ სოფლებში უკვე შემდგარია წითელი გვარდია. ქ. თელავისა და ქ. სიღნაღის წითელ გვარდიის შტაბებმა ახლავე უნდა მოახდინონ მთელი სოფლების შემოვლა და მჭიდროთ დაკავშირება სოფლის წითელ გვარდიასთან. დაკავშირების შემდეგ უნდა შედგენილ იქნას ერთგვარი ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში შევლენ წითელი გვარდიის შტაბი, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი, სამაზრო კომისარი და ადგილობრივ პოლკებში შეგნებულ ჯარისკაცთა წარმომადგენლები. ამგვარ ექსპედიციას თან ეყოლება შეიარაღებული ძალა, როგორც წითელ გვარდიელების, ისე ჯარისკაცების და ამ საერთო ძალით შეუდგებიან ყოველ სოფლების შემოვლას. ექსპედიციის მიზანი იქნება პირველად ყოვლისა აღადგინოს სოფლად რევოლიუციონური ორგანოები, რომლებიც ბევრ სოფლებში უკვე აღარ არსებობენ და სადაც კი არსებობენ, შიგ მხოლოდ ხულიგანებს მოუკალათებიათ. ასეთი პირები უნდა დატუსაღებულ იქნან და ის პირები, რომლებიც აშკარა წინააღმდეგობას გასწევენ, იქვე, იმავე სოფელში გასამართლებული მოძრავი რევოლიუციონურ ტრიბუნალისაგან. უნდა აეყაროს იარაღი გახულიგანებულ ჯარისკაცებს და იმ სოფელში დასტოვონ შეიარაღებულ ძალათ მხოლოდ წითელი გვარდია და მილიციონერები. იარაღის ჩამორთმევის დროს ყველა პროვოკატორ-ხულიგანი თავის თავს თვითონ გამოაჩენს. შეიძლება აქ იფიქროს ვინმემ, რომ ასეთი სასტიკი ზომები კონტრ-რევოლიუციონერების გამოსვლას დააჩქარებს და სისხლის ღვრა მოჰყვება. თუ ეს მართლაც ასე მოხდება, მიუხედავათ იმისა, რომ ეს მოვლენა ძალზე სამწუხარო იქნება, რევოლიუციისათვის თითქმის სულ ერთია, რადგან ის სოფლები, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევენ იარაღით ხელში და ის პირები, რომლებიც განკარგულებას არ დაემორჩილებიან, მაინც დაკარგულია და რევოლიუციის მოღალატეებათ უნდა ჩაითვალონ. ესა თუ ის სოფლები, უკეთუ სეიმისა და მთავრობის წინააღმდეგ წავლენ, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ კონტრ-რევოლიუციონერებს უკვე მოუსწრიათ ორგანიზაციულათ დარაზმვა და რაც მალე მოხდება ასეთ სოფლებზე თავდასხმა, მით უფრო ხელსაყრელი იქნება რევოლიუციონერებისათვის. სხვა გამოსავალი რევოლიუციას ამ ჟამათ არა აქვს.

ორში ერთი: ან რევოლიუციამ უნდა შესძლოს სოფლად წესიერების აღდგენა, რაც შესაძლებელია სასტიკი რევოლიუციონური რეპრესიების საშუალებით, ან და უნდა აშკარათ ვსთქვათ, რომ რევოლიუცია გამოიფიტა ცოცხალი ძალებით და მას მტრის მოტანილი იერიშების მოგერება არ შეუძლია.

ბ. ჭუმბურიძე.

# მოვალეობის მსხვერპლნი

## კეცხოველი.

თვალწინ მიდგა ფრიად ღმობიერი და ყოვლად სათნოიანი ჭაღარა კეცხოველი. მან თავისუფლებისთვის ბრძოლას შესწირა თავისი სიცოცხლე. ამა სოფლის ნაძირალებმა ვერაგულად მოუსპეს მას სიცოცხლე და უდროოდ ჩამოაშორეს საზოგადო საქმეს ერთი საუკეთესო, თავისუფლებისთვის მებრძოლთაგანი.

დიახ, მოჰკლეს, მაგრამ ნუ თუ ნაძირალებს ჰგონიათ,—მოჰკლეს და ამით გათავდა საქმე?! არა, იგი არ მოუკლავთ, მოჰკლეს მხოლოდ სხეული, ხოლო მისი ბრწყინვალე აზრები და იდეალები, რომლებსაც იგი ემსახურებოდა და ატარებდა ცხოვრებაში, არ მომკვდარა და არც მოკვდება.

მალე იგი იდეალები ღრმა საძირკვლიან ფესვებს გაიდგამს და ნაძირალების ტალახიან ხელებს ეტყვის: ძირს თქვე უხამურებო, თქვენ საკეთილ-დღეოდ ვიბრძოდი და თქვენ კი არ გინდოდათ გესარგებლნათო.. ნუ თუ არ შერცხვებათ უსვინდისოებს?!!

ვიზიარებ რა კეცხოველის ოჯახის მწუხარებას, ამასთანავე ვაახლებ რედაქციას 50 მან. კეცხოველის ოჯახზე გადასაცემათ *).

მუშა ვ. ჩხირაძე.

*) 50 მან. რედაქციამ მიიღო.

## გოგი კალანდაძე.

კიდევ მსხვერპლი თავისუფლების...

რევოლიუციის აშკარა მტრებმა კიდევ მოუკლეს ჩვენს რაზმს ერთგული ამხანაგი, თელავის კომისარი გოგი კალანდაძე.

სიცოცხლით სავსეს, ჯერ სრულიად ახალგაზრდა გოგის ნიშნავენ თელავის კომისრად. მთელი თავისი ძალ-ღონით მუშაობს და ცდილობს გააკეთოს რამე ხალხის საკეთილდღეოთ, განამტკიცოს რწმენა თავისუფლების, რისთვისაც მას ემტერებიან შავრაზმელები; თელავში მომხდარ არეულობის დროს, ყოფილი გახულიგანებული ჯარისკაცები მას იჭერენ და სხვებთან ერთად დახვრეტას უპირებენ.

— „გამზადებული ვიყავი დასახვრეტათ, რომ ამ დროს ერთმა აფიცერმა შემთხვევით გადამარჩინა“-ო, მითხრა მან ღიმილით ამ ერთი თვის წინეთ.

მაშინ გადარჩა, მაგრამ ავაზაკები ველარ შეურიგდენ მის მუშაობას თელავში და ამ ოთხი დღის წინეთ ვერაგულათ აწამეს...

არ შეიბრალეს არც მისი მოხუცი საბრალო დედა, რომელმაც უკიდურეს სიღარიბეში ამოზარდა საყვარელი შვილი თფილისის საფერშლო სასწავლებელში.

გოგის სიკვდილით ისინი ფიქრობენ ხალხის გულში ჩაჰკლან სისხლით მოპოებული თავისუფლება. აღადგინონ ძველი შავბნელი დრო და შემდეგ ჩვეულებრივათ იპარპაშონ, მაგრამ ეს დრო ავაზაკებს აღარ მოესწრებათ.

საყვარელ გმირებს, ტანჯული ხალხი თავიანთ გულში სამარადისო ხსოვნის ძეგლს აუგებს და მოპოებულ თავისუფლებას არავის დაუთმობს.

მშვიდობით ძვირფასო, წამებულო ამხანაგო გოგი.

შენ შენი ვალი პირნათლად, ღირსეულად შეასრულე და მით მაგალითი უჩვენე სხვებს, თუ როგორ უნდა თავდადება მოპოებული თავისუფლებისათვის, რასაც შეასრულებენ შენი ამხანაგები და მით უკვდავს ყოფენ შენს წმინდა, სამარადისო ხსოვნას.

სილია.

# სოხუმის ოლქში

ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ ა. ი. ჩხენკელმა შემდეგის მოწოდებით მიმართა აფხაზებს და სამურზაყანოელებს:

„ამ უდიდეს ისტორიულს და ფრიად საგულისხმიერო მომენტში, როდესაც ამიერ-კავკასიის ბედი წყდება, როცა მისი დამოუკიდებლობა გამოცხადებულია ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკის ნიადაგზე, როდესაც ირკვევა და მტკიცდება სახელმწიფო და ტერიტორიული საზღვრები, როდესაც ამიერ-კავკასიის ერები ხანგრძლივ მომავლისათვის სჭედენ ახალს გზებს, ახალ ცხოვრების შესახვედრათ, მე მოგმართავთ თქვენ, აფხაზეთისა და სამურზაყანოს შვილნო, როგორც თქვენი თანამემამულე წარმომადგენელი და თქვენთან ერთად მებრძოლი თქვენი ინტერესების დასაცველად ჯერ კიდევ სახელმწიფო სათათბიროში, მოგმართავთ მხურვალე მოწოდებით ყური ათხოვეთ ჩემს ხმას!

ღრმა მწუხარებით, გულის კვნესით შემესმა ამბავი იმ დამღუპველ ანარქიისა, ექსცესებისა, არეულობისა და ურთიერთოშისადმი მტრობა-შუღლის შესახებ, რაიც ჩვენს ქვეყანას შემზარავი გლეჯა-ფლეთით სპობს და ანელებს.

მე გთხოვთ, ყოველგვარი ზომები მიიღოთ დაუყონებლივ ანარქიის შესაჩერებლად. მოიწვიეთ სახალხო ყრილობა და გამოგზავნეთ თბილისში თქვენ თქვენი წარმომადგენლები, რათა ჩვენთან ერთად და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა წარმომადგენლებთან ერთად, შეერთებულის ძალით, გამოვიმუშავოთ კონსტიტუცია, განვსაზღვროთ და დავადგინოთ სახელმწიფოებრივი სწორი მიჯნები, რათა თქვენმა ხალხმა მთელმა აფხაზობამ და სამურზაყანოელებმა, მასში ჰპოვონ თავიანთ სურვილებისა და იმედების ახდენა, ფართო გულითადი გამოძახილი, რომ სავსებით, როგორც კავკასიის ფედერაციის სწორუფლებიან წევრს თანასწორივე ყურადღება და მზრუნველობა მიეცეს ყოველისფერის დასაკმაყოფილებლად“.

---

სამურზაყანო, 11 აპრილს დ. გალში. სამურზაყანოს ადმინისტრატიულ ცენტრში მოხდა ვითომდა სამურზაყანოელების კრება. კრება მოწვეული იყო ყოფილი ჯარისკაცების ინიციატივით, რომლებიც ბატონობდენ კრებაზე. კრების გახსნის დროს შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა გააცხადეს, რომ ისინი დაიცავენ წესიერებას და ყველას ნება ეძლევა გამოსთქვას თავისი აზრიო. კრებას დაესწრო დაახლოვებით 300 მოქალაქე. მართალია, კრებაზე თითქოს მთელი სამურზაყანო იყო მოწვეული, მაგრამ ფაქტიურად კრება შესდგებოდა ორიოდე ახლო-მახლო მდებარე სოფლების წარმომადგენლებიდგან და ყოფილი ჯარისკაცებისაგან. გამოცხადდენ კრებაზე ზუგდიდის მაზრის წარმომადგენლები. კრებაზე იყვნენ სოხუმის ბალშევიკების წარმომადგენლები, რომლებმაც გააცნეს კრებას, თუ როგორი ბედნიერება ეწვია სოხუმს, თუ როგორ დააჯარიმეს სოხუმის ბურჟუაზია ბალშევიკებმა და მოუწოდებდენ კრებას, რომ სამურზაყანოელებსაც ეცნათ საბჭოთა მთავრობა. სოხუმელ ბალშევიკებს მე კარგათ ვიცნობ, მაგრამ არც ერთს მათგანს ამ დღეს აქ არ ვხედავდი. კოლია სვანიძე, ეს ერთი ლიდერთაგანი სოხუმის ბალშევიკებისა ამ დღეს სახლში იჯდა და მიუხედავათ იმისა, რომ კრება მისი სახლის წინ იყო გამართული, არ გამოსულა კრებაზე. ამ დღეს ბალშევიკების მაგიერ ილაპარაკა სხვათა შორის ბ. არქანიამ, რომელსაც ძველი მთავრობაც კი სდევნიდა მისი ბნელი საქმეების გამო. გული გიკვდებოდა, როდესაც ხედავდი, რომ კრებას ბრძანებლობდენ შეიარაღებული ჯარისკაცები, რომელთა რიცხვში ბრძანდებოდენ ს. ბანძიდან გამოქცეული ხულიგანები და ორი-სამი ძლიერ საეჭვო პირები, რომლებიც სრულიად უსირცხვილოთ უწოდებდენ თავს სოციალისტებს. მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა ვასო ქვეყარაძემ. ქ—ძის შემდეგ ილაპარაკეს ყოფილმა ჯარისკაცებმა, რომლებიც არავითარ საშუალებას არ იშურებდენ, რომ რამე გზით სახელი გაეტეხათ ამიერ-კავკასიის მთავრობისათვის. ერთმა იმათგანმა ისიც კი სთქვა, რომ კომისარიატმა სამი ვაგონი თოფები მიჰყიდა განჯის თათრებს და თოფების მაგიერ საპონის დოკუმენტები იყო დაწერილიო. ყველა ასეთ გამოსვლებს ყოფილი ჯარისკაცები და მათთან ერთათ მათი ამყოლნი ტაშის ცემით ხვდებოდენ. კრებამ უკვე გარკვეული ხასიათი მიიღო. ბალშევიკების შემდეგ სიტყვა აიღო ვასო ქ—ძემ. ასტყდა ერთი ღრიალი: „დააბალ, დააბალ“-ო (კმარა), გაისმა ჯარისკაცებიდან. ჯარისკაცები ერთმანეთს ეუბნებოდენ: „მაგას რომ ლაპარაკის ნება მივცეთ, ჩვენი პლანები ჩაიშლებაო“. ამნაირათ 40 იოდე შეიარაღებული ჯარისკაცების მეოხებით სოხუმის ბალშევიკების წარმომადგენლებმა სამურზაყანოსაც მოახვიეს თავზე საბჭოთა მთავრობა. ხალხი, ფართო მასსა ძლიერ უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ აბა ვინ რას გაუბედავდა თავიდგან ფეხებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცებს.

ღამის 9—10 საათი იქნებოდა, რომ კრება განთავისუფლებულ იქნა. მას შემდეგ, რაც ამ ვაჟბატონებმა აირჩიეს, როგორც ადგილობრივი მთავრობა, აგრეთვე სოხუმის „პარლამენტის“ წევრები. 12 აპრილს გალში საალყო წესები გამოაცხადეს, მაგრამ 3 დღის შემდეგ ისევ მოხსნეს. მესამე დღეს სოხუმიდან დეპეშა მიიღო გალის მთავრობამ „დაუყონებლივ დააკმაყოფილეთ ყველა მოსამსახურეები, უპირველესად ყოვლისა ფოსტის მოხელეები იმ ფულებიდან, რომლებსაც გადაახდევინებთ .. გალის მემამულეებს“. ამ დეპეშის სისრულეში მოყვანა რაღაც უხერხულად მიაჩნდა გალის მთავრობას, რადგანაც როგორც განაცხადეს იმათ, ისინი აჯარიმებენ იმათ, ვისაც 100000 და მეტი აქვს და რაც შეეხება წვრილ ვაჭრებს, ისინი ხელშეუხებლად სტოვებენ.

მესამე დღეს ზუგდიდში მოვედი, სადაც მოელოდენ „ბალშევიკებს“. ასეთივე მდგომარეობა იყო ახალსენაკში. ზუგდიდში და ახალსენაკში მამულების ჩამომრთმევი კომისიები ვნახე, რომლებსაც მართალია დაუწყიათ მუშაობა, მაგრამ არ იციან, თუ როდის გაიქცევიან, რადგანაც ყოველ საათში ელოდებიან ანარქიის დაწყებას.

ასე მშვენივრად სარგებლობენ ეს ახალი მოდის სოციალისტები შექმნილი მდგომარეობით და მაშინ, როდესაც მტერი უკვე შემოჭრილია ჩვენს კუთხეში, ესენი ზურგიდან სცემენ ლახვარს დასუსტებულ დემოკრატიას. და ყველა ამას სჩადიან სოციალისტების სახელით. ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი კი სდუმან, თითქოს, ისინი სახლში არ ბრძანდებოდენ.

გამვლელი.

# თფ. სახ. უნივერსიტეტი

გასული წლის 11 თებერვალს 10 წელი შესრულდა, რაც ამ საზოგადოებას საძირკველი ჩაეყარა თფილისში, ათმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც თფილისის დემოკრატიამ პირველად შედგა ფეხი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების სასწავლებელში—სახალხო უნივერსიტეტში.

ამიტომ ზედმეტი არ იქნება ცოტათი თვალი გადავავლოთ უნივერსიტეტის წარსულს. დემოკრატიული მასსა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ დაწესებულების დაარსებას. პირველ წე სავე 500-მდე წევრი ჩაეწერა. ადგილობრივ ენებზე წაკითხულ იქნა ლექციები, რომელსაც 18,685-მდე მსმენელი დაესწრო. პირველ ხანებში ლექციები ძალიან აინტერესებდა ხალხს. ზოგიერთ ლექციებზე დამსწრეთა საშვალო რიცხვი 600—700 კაცზე მეტს უდრიდა, რომელთა დიდი უმეტესობა მუშები იყვნენ. გამგეობამ პირველ წელსვე გახსნა მოზრდილთათვის წერა-კითხვის სკოლები, რუსულ, ქართულ, სომხურ, თათრულ, ოსურ და ებრაულ ენებზე, რომელშიაც 300 მდე მოწაფე დადიოდა. მოწყობილ იქნა საღამოს სისტემატიური კურსები, რომელიც დიდძალ ხალხს იზიდავდა, იმართებოდა კონცერტები და სხვა. პირველი წლის შემოსავალი უდრიდა 3000—4000 მანეთს.

ასეთი იყო უნივერსიტეტის მოქმედება პირველ ხანებში, მარა განვლო დრომ და სახალხო უნივერსიტეტისადმი ინტერესებმაც იკლო. 1909—1912 წ. ლექციებზე დამსწრეთა რიცხვი შემცირდა, ხოლო 1913—14 წ., როგორც ეს ანგარიშიდან სჩანს, ცოტათი უმატია. კლებულობდა აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში საზოგადოების შემოსავალიც და ამის და მიხედვით მისი მოღვაწეობაც სუსტდებოდა. გარდა ამისა მას მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობებოდა წინ და როგორც ახალ ფეხ-ადგმულ ინტერნაციონალურ დაწესებულებას, მეფის მთავრობა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს. 1908 წ. აკრძალულ იქნა ადგილობრივ ენებზე ლექციების კითხვა და მხოლოდ 1913 წ. ისევ დართეს ნება.

დღეს ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სახალხო უნივერსიტეტს თავისი დანიშნულების პირნათლად შესრულება შეუძლია მაშინ, როცა მისი მოღვაწეობა დამყარებულია თვითმოქმედი მასსის მოქმედებაზე და გულშემატკივრობაზე, და როცა მას გარშემო ახვევიან მისდამი თანაგრძნობით გამსჭვალულნი ფართო წრეები—დემოკრატიისა. გამგეობა უძლურია მაშინ, თუ თვითონ წევრები მას გვერდში არ უდგანან და არ ეხმარებიან და იმავე დროს საზოგადოება გულ-გრილობას იჩენს.

გასული წლის 27 თებერვლიდან, როდესაც რევოლიუციონურმა დემოკრატიამ და მუშებმა მეფის მთავრობა დაამხვეს, ამ დღიდანვე სახალხო უნივერსიტეტის მოქმედებაც თითქოს მთლად შეჩერდაო, ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები ჩაებენ რევოლიუციონურ და პოლიტ. ორგ. მუშაობაში, რის გამო სახალხო უნივერ. მოქმედებაც შესუსტდა. გამგეობამ არა ერთხელ და ორხელ სცადა მოეწვია წევრთა საზოგადო კრება, მარა ამაოდ.

ამ ჟამად უნივერსიტეტის მართვა გამგეობა თავს იდო თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ კულტურულ განმანათლებელმა განყოფილებამ. იკითხება ლექციები ყველა დარგიდან. მოხსენებები, რეფერატები და სხვ. მსმენელთა რიცხვი თანდათან მატულობს.

თფილისის დემოკრატია მთელი თავისი ძალ ღონით უნდა შეეცადოს მომავალში სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის გამოცოცხლებას, აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კულტურ. გ-ნმ. განყოფილება უნდა ეცადოს მოაწყოს სახ. უნივერსიტეტში ლექციების კითხვა ყველა ადგილობრივ ენებზე და გახსნას მუშათა უბნებში წერა-კითხვის სკოლები.

თედ. ხუხუნაიშვილი.

# საად.-მამულო

ს. ქვემო ჭალა (გორის მაზრა). 20 მარტს გავემგზავრეთ სამიწადმოქმედო სამინისტროს დავალებით ქ. გორში. ვინახულეთ გორის მაზრის სამიწადმოქმედო კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი მათ განვუმარტეთ ჩვენი მისვლის მიზანი (გაგზავნილი ვიყავით 4 კაცი), მოვახდინეთ იმავე დღეს კომიტეტის კრება. კრებაზე ნაკლები რიცხვი იყვნენ, რადგან (ამ დროს გორის მაზრაში არაჩვეულებრივი მდგომარეობა იყო ცხინვალის სამწუხარო ამბების გამო) ჩვენ მაინც თავმჯდომარეს ვსთხოვეთ, რომ სრული კრება გაგვემართა და გამოგვერკვია ჩვენი მუშაობის გეგმა. გვინდოდა გაგვეგო, ქონდათ თუ არა ყველა ის მასალები, რაც საჭირო იყო მიწების ჩამორთმევის შესახებ. მეორე და მესამე დღეს გამოირკვა, რომ ოთხ რაიონებიდან უკვე იყო დაგროვებული ყოველივე მასალები და სარაიონო კომიტეტებიც დამტკიცებულიყო. სულ გორის მაზრა შესდგება 9 რაიონისაგან. თითო რაიონში ირიცხება საშვალოთ 30—40 სოფლის საზოგადოება. ჩვენ იქ ოთხი დღე მოგვიხდა შეჩერება და უკანასკნელ კრებაზე გადავწყვიტეთ და გავანაწილეთ რაიონები. და 25-ს მე და ერთი ჩემი ამხ. ი. ბალანჩივაძე გავემგზავრეთ ქვემო-ჭალის რაიონში. ს. ქვემო ჭალა მდებარეობს დუშეთის მაზრის საზღვრებზე სადგურ კასპიდან 15 ვერსის მანძილზე. აქ სახლობენ ქართველები, სომხები, ოსები, ებრაელები და მცირე ნაწილი თათრობა. მთელ რაიონში ითვლება 28 სოფელი. მემამულეები არიან ორბელიანები, ამილახვრები, მესხიშვილები და ზაალიშვილები. არიან მცირე რიცხვი კერძო მესაკუთრე გლეხებისა. არის ერთი საჩქოლე („პიტომნიკი“) კერძო მესაკუთრის; ამავე რაიონში არის ს. მუხრანის მახლობლათ საუფლისწულო სახნავ-სათესი მამული და ტყე. გლეხებსა და მემამულეებ შორის ცუდი განწყობილება ყოფილა. ამ ნიადაგზე შვიდი-რვა მკვლელობაც მომხდარა წარსულ თვეებში. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოროტებას ქონდეს უბრალო ყაჩაღურ-პროვაკატორული ხასიათი. ჩვენ მისვლისათანავე შევკრიბეთ ადგილობრივი ორგანიზაციები და მცხოვრებლები,—გავაცანით ჩვენი მისვლის მიზანი და ავუხსენით მიწების რეფორმის კანონი მუხლობრივ, რასაც დიდის ყურადღებით ისმენდენ და სიხარულს გამოსთქვამდენ. იყო თითო-ოროლა პირები, უკმაყოფილონი, რომ დატოვებულ ნორმას მეტათ ასახელებდენ, მაგრამ ახსნა-განმარტების შემდეგ ისინიც კმაყოფილი რჩებოდენ. მთელი რაიონი ჩამოვიარეთ, რადგან ამ კრებაზე გამოირკვა, რომ სოფლად არ არსებობს არავითარი მიწების კომიტეტი და თუ არის სადმე, ძლიერ სუსტი და უმოქმედო. ჩვენც გადავსწყვიტეთ დაგვევლო მთელი რაიონი და აღგვედგინა მიწისა და სხვა ორგანიზაციები. სულ ოცამდე კრება მოვახდინეთ და ყველა სოფლებში ავირჩიეთ სამიწადმოქმედო კომიტეტები, სასურსათო და სხვა ორგანიზაციები. ვაცნობდით დღევანდელ ამიერ-კავკასიის მდგომარეობას და მობილიზაციას. ამ რაიონში მობილიზაცია სრულად ჩატარდა. გზა და გზა კრებაზე გვხდებოდა მცირედი ხელის შეშლა მობალშევიკე ჯარისკაცებისაგან. არის გლეხებ შორის უბრალო კინკლაობა, ნასყიდობების გაუქმების თუ სხვა ასეთების შესახებ. ვუხსნიდით, რომ ყველა ასეთი სადაო და უთანხმოების გამოსარკვევათ აერჩიათ მომრიგებელი კამერები და მათი საშვალებით გადაეჭრათ დავა მთელი რაიონი დათესილ-გადახნულია,—როგორც გლეხების ადგილები, ისე მემამულეების. არც ერთი ნაჭერი მიწა დაუმუშავებელი თითქმის არ არის დარჩენილი. ვუხსნიდით მიწების კანონს და მოვუწოდებდით კანონის ფარგლებში გაგვეტარებია მიწების ჩამორთმევა მემამულეებისაგან. უმეტეს შემთხვევაში გლეხები კმაყოფილი არიან მიწის რეფორმის და აღგვითქვამდენ დახმარებას. მიწები დასამუშავებლათ გაუნაწილებიათ. იძლეოდენ შეკითხვებს, თუ როდის და ან რა სახით იქნება მიწების განაწილებაო. ჩვენც ვუხსნიდით, რომ დღეს მხოლოდ განაწილებიათ 1 წლით არჩეული კომიტეტის საშუალებით სამუშევრად. დღეს კი ხდება მარტო ჩამორთმევა მემამულეების მიწებისთქო.

№ 40.

# სოც.-დემ. პარტიაში

ძ. ჭიათურაში სოც.-დემ. კომიტეტის ინიციატორობით მოხდა მიტინგი, პირველი მაისის სადღესასწაულოთ ადგილობრივ თეატრის დარბაზში. მიტინგს მრავალი ხალხი დაესწრო. კრების თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. გიორგი ხუნდაძე, რომელმაც აუხსნა დამსწრე საზოგადოებას, პირველი მაისის მნიშვნელობა პროლეტარიატისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ მაისის დღესასწაულს იმიტომ, რომ ამ [illegible] დღეს მთელი ქვეყნის მშრომელთა [illegible] რითაც პროტესტს უცხადებენ მჩაგვრელ

ლებს და მოითხოვენ რვა საათის სამუშაო დღეს.

სოც.-დემ. პარტიის სახელით ილაპარაკა ამხ. პლატონ მოდებაძემ, მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო მშრომელი კლასის მდგომარეობას და კაპიტალისტების ალვირ-წახსნილობას, და განმარტა თუ რა სარგებლობა მოაქვს პროლეტარიატისათვის 8 საათის სამუშაო დღეს. როცა მუშა ფიზიკურათ ჯანმრთელია, მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქვეყნის ასაყვავებლათ. ამასთანავე განმარტა, რომ იმპერიალისტები მუდამ იმის ცდაში არიან, რომ პროლეტარებს ერთმანეთი დააჟლეტიონ, თავის ინტერესების სასარგებლოთ. იმპერიალისტების მეოხებით მოხდა ეს უსაშინელესი ომი, რომელმაც გაანადგურა კულტურული ქვეყნები და დაიღვარა პროლეტარიატის სისხლი.

დრო არის გონს მოვიდეს მუშათა კლასი და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადოს იმპერიალისტებს და განახორციელოს ის ლოზუნგი, რომელიც დიდმა მოძღვარმა კარლ მარქსმა უანდერძა მათ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“. გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია: პირველი მაისი არის საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაული; უნდა იქნეს საპატიო პირობებში ზავი ჩამოგდებული და უნდა მოისპოს სისხლის ღვრა; უნდა გაუქმებული იქნეს მუდმივი ჯარი და მისი ადგილი დაეთმოს საყოველთაო მილიციას; ყოველგვარი სადავო საკითხი უნდა გადაჭრას სამედიატორო სასამართლომ; კრება სრულ ნდობას უცხადებს ამიერ-კავკასიის სეიმს და ფიცსა სდებს, რომ მხარს დაუჭერს უკანასკნელი სისხლის წვეთამდე. №.

---

**ლაილაშის** სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის პრეზიდიუმი საყოველთაოთ აცხადებს, რომ ვისაც ხსენებულ ორგანიზაციიდან აქვს მიღებული მანდატი, ეს მანდატი პირველ მაისიდგან გაუქმებულათ ითვლება.

## მუშათა შორის

**ტფილისის ტრამვაი.** 17 აპრილს დილის შვიდ საათზე ტრამვაის სახელოსნოს ეზოში მოხდა საერთო კრება მოძრაობის მუშებისა. დღიურ წესრიგში დასმული იყო პროფესიონალურ კავშირის მოხსენება ჯამაგირების მომატების შესახებ. მოხსენება გააკეთეს ამხ. თედოშვილმა და კავშირის მდივანმა. კრებას არ აკმაყოფილებს ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო ქალაქის თვითმართველობამ. აღსანიშნავია და ამავე დროს სამწუხაროც არის ასეთი მოვლენა ჩვენთვის, ტრამვაის მუშებისათვის, რაც ამ კრებაზე მოხდა. დავიწყოთ თავმჯდომარის არჩევიდან. წამოყენებული იყო ორი კანდიდატი შევჩუკი და ლობაჩევი. უკანასკნელი ცნობილია თავისი შავი წარსულით, პირველი კი რევოლიუციონერი და მუშათა ინტერესების დამცველია. არჩეულ იქნა ლობაჩევი, რომელიც შეეცადა დაემტკიცებინა კრებისთვის გაფიცვის აუცილებლობა. მოუწოდა კრებას: გვეყო ამდენი მოტყუილება, ჩვენ სასაცილოთ გვიგდებს თვითმართველობა, თვითონ მაძღრები არიან და სხვა. თავმჯდომარეს გარდა კიდევ ბევრმა გაიმეორა ეს სიტყვები. კრებაც თანაგრძნობით უსმენდა და არც ფიქრობდენ მოძრაობის გახსნას, რომელიც შეაჩერეს დაახლოვებით ორი საათი. ბევრი ახსნა-განმარტების და რწმუნების შემდეგ, რომ არ არის საჭირო გაფიცვა, ჩვენ გვაქვს სხვა საშუალება, დემოკრატიული ორგანიზაციები, მომრიგ. კამერა და სხვა, რომლების საშუალებით ყველა ეკონომიური კითხვები და უთანხმოებანი ურთიერთ შორის წყდება გაფიცვის გარეშე, დაგვეთანხმნენ და შეუდგნენ მუშაობას. ვინ იყვნენ ეს ვაჟბატონები, რომლებიც გაფიცვისაკენ მოუწოდებდენ კრებას ან რა სწადიათ მათ? ესენი გახლავთ მუშებს რომ ებრძოდენ რეაქციის დროს ყოველივე საშუალებით. არ მომხდარიყო გაფიცვა და თუ მოხდებოდა ესენი მუდამ შტრეიკბრეხერები იყვნენ. ასეთი ადამიანები დღეს გაფიცვას მოითხოვენ, როცა არ არის საჭირო ასეთი ზომა. ამით ცდილობენ უკანასკნელი ლახვარი ჩასცენ მუშათა კლასს, ვერ მოუნელებიათ დემოკრატიის გაბატონება. დროც შესაფერი აირჩიეს. გარეშე მტერი ჩვენ მამულში შემოიჭრა და განადგურებას გვიქადის. რამდენათ ოსმალეთი წინ მოიწევს, იმდენათ ჩვენი შინაური მტერი თავს გვესხმის. აგრეთვე ამ ვაჟბატონებმა ძალიან თავისუფლათ იგრძნეს თავი მას შემდეგ, რაც ტრამვაის მოწინავე ამხანაგები ყველა პოზიციაზე გაიფანტნენ, შეუდგენ წყლის ღვრებს, რომ თევზი ბლომათ დაიჭირონ. ტრამვაის მუშებო, ნუ აყვებით პროვოკაციას და დემაგოგიას! გაარჩიეთ მგლები ცხვრის ტყავში გახვეულნი, მოიგონეთ ეს კრება, მოიგონეთ მათი სიტყვები—რვა საათის სამუშაო დღის, გაფიცვის, რომლითაც გვიშანტაჟობდენ, სხვათა შორის პირველი მაისიც არ გამორჩით. სად იყვნენ ეს უკაცრავათ სიტყვაა მუშათა ინტერესის დამცველები, რატომ არ იყვნენ ჩვენ გვერდში პირველ მაისს მუშათა ბრწყინვალე დღეს. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ისინი არიან ჩვენი გამყიდველები და როგორც ასეთები, ჩვენ უნდა ვუთხრათ: შორს ჩვენგან თქვენი საწამლავი ენები; გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ გვყავთ მოწინავეები და ბრძოლაში გამოწრთობილები. გეტყვიან როცა გაფიცვაა საჭირო. თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ იმ ამხანაგების მოქმედებაში, რომლებიც არ უშინდებოდენ ნიკოლოზის ბორკილებს და აწყობდენ გაფიცვებს, ნუ თუ დღეს ამ თავისუფალ მებრძოლებს დაავიწყდათ გაფიცვის საჭიროება. არა, მებრძოლმა იცის როდის, რა იარაღი იხმაროს ბრძოლაში! მაშ, მოვუსმინოთ ჩვენ მოწინავე ამხანაგებს. აგრეთვე საჭიროა, რომ საერთო კრებაზე მომზადებული გამოდიოდეს ჩვენი ამხანაგები და ესწრებოდეს ყველა, წინააღმდეგ შემთხვევაში არა სასურველ შედეგს მივიღებთ. ს. თ—ძე.

---

**ტფილისის სად. გადამ. პროფ. კავშირი.** 17 აპრილს ამხ. მ. სალუქვაძის თავმჯდომარეობით მოხდა საზოგადო კრება თფილისის სად. სად. გადამწონ პროფესიონალურ კავშირისა—გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: ცენტ. ბიურ. მოწყობა, კვირა უქმე დღეებზე დასვენება, საწევრო ბილეთები და საწევრო გადას. სადგურის ზედამხ. და კავშირი და მიმდინარე მომენტი.

პირველათ ამხ. თავმჯ. შეეხო მიმდინარე მომენტს და მოკლეთ გააცნო დამსწრე საზოგადოებას, თუ როგორი ენერგიაა ჩვენთვის დღეს საჭირო, თავისუფლების შესანარჩუნებლათ და როგორი მწარე სინამდვილის წინაშე დგას დღეს ჩვენი დემოკრატია და მოუწოდა წევრებს ენერგიულ მუშაობისაკენ.

კრებამ ცენ. ბიურ. შესახებ აუცილებელ საჭიროებათ სცნო ცენტრის არსებობა, რომლის საშუალებით დაკავშირებული იქნება თფილისის ყველა რკინ. გზის მუშები ქალაქის მუშებთან და არ იქნება ისეთი გაუგებრობა, რომელიც ყოფილა დღემდე. კვირა-უქმეებზე საჭიროთ სცნო კრებამ იმუშაოს ორმა საწყობმა, სანამ ამას მოითხოვს თვით ჩვენი საერთო ინტერესები. უკამათოთ იქნა მიღებული საწევრო გადასახადის აუცილებლობა და საწევრო ბილეთებიც. სავალდებულოთ აღიარებულ იქნა ყველა წევრების კრებაზე დასწრება, დაადგინეს: უკეთუ რომელიმე წევრი ზედი ზედ უმიზეზოდ დააკლდება სამჯერ, ის გაირიცხება წევრობიდან. კრება სცნობს საჭიროდ არ იმოქმედოს ზედამხედველმა დამოუკიდებლათ, რომელიც დიდ ზიანს აყენებს საერთო საქმეს და რკინის გზას. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა: ეცნოს წერილობით სადგურის უფროს შემდეგი: არ იქნას მიღებული გად. მოვალეობაზე არავინ, თუ კი იმას არ იცნობს ხსენებული ორგანიზაცია, როგორც საიმედოს და ნამდვილ ამხანაგს. კრებას დასასრულ ქონდა ლაპარაკი სასურსათო საქმის არევ-დარევის შესახებ, რამაც დიდი ყურადღება მიიქცია დამსწრე საზოგადოების, ითქვა თუ როგორ ექ..ვ ან დღევანდელ კრიტიკულ მომენტში ზოგიერთი ვაჟბატონები საერთო საქმეს, არც ის იქნა დაფარული, თუ როგორ აგებენ კარტის თამაშის დროს რუსულ კლუბში 4 ათასობით ხალხის ფულებს იმ დროს, როდესაც ხალხს შიმშილი სიკვდილს უმზადებს. დღეს თითქმის ბნელ თვისაც ნათელი უნდა იყოს რკინის გზაზედ მომუშავეთა მდგომარეობა. გული უკვდება კაცს, როდესაც ხალხის სახელით ისევ ხალხის ზურგზე მალაყებს გადადიან და ყველა ამის მოწამე ხდება შეგნებული მუშა. საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ საქციელს და მოეთხოვოს პასუხი ამ უპასუხისმგებლო და მადა გახსნილ ვაჟბატონებს.

ასეთი განცხრომა ხანგრძლივი ვერ გამოდგება, ხალხი სასტიკ პასუხს მოსთხოვს მათ და განდევნის საერთო საქმეში ხელის შემშლელს. გადამ.

## პროვინცია

**მანგლისის რაიონი.** აქ გლეხობა ძალიან შეუძლებელია. სრულიად არ არის ინტელიგენტური ძალები და ძალიან ეტყობა მათი ნაკლებობა მთელ მანგლისის რაიონს. არ მოდის მგონია არც ერთი გაზეთი და ამის გამო ყოველ ნაირ ჭორებს და პროვოკაციას დიდი გასავალი აქვს. რევოლიუციის მტრებისათვის ასეთი ადგილი ნაყოფიერ მხარეს წარმოადგენს, რა ჭორებს გინდა აქ არ შეხვდეთ, მთავრობა თათრებს იარაღს ურიგებსო, წითელ გვარდიელები ბურჟუების დაქირავებულია და დიდ ჯამაგირსაც იღებენო. თათრები ჩვენი მტრები ყველა და შეხვდები კიდევ, რომ ლაპარაკობენ თითქო ქართველობა თათრებს უჭერენ მხარს სომხების წინააღმდეგ და სხვადასხვა. ყველა ამას დიდი გასავალი აქვს ხალხში და რადგან თავიანთი თავით არ შეუძლიათ გაარჩიონ მტერ-მოყვარე, ამისათვის ყველა ასეთ ზღაპრებს იჯერიან. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს. არევდარევას ხელს უწყობენ ფრონტიდან დაბრუნებული მობოლშევიკე სალდათები, რომელთაც მ ზამთრიდგან დავიწყებიათ და თოფით ხელში დახეტიალობენ აქა-იქა და თვალი უჭირავს სხვის ნაოფლარზე. მათ არ ესმით, რომ მუშათა საქმეს დათვურ სამსახურს უწევენ და თავიანთი ასეთი ქცევით ღუპავენ მას. ადგილობრივი ადმინისტრაცია ხომ არსადა ჩანს და თუ არის სადმე, წესიერების დაცვის მაგივრათ წესიერებას არღვევენ, ვინაიდან ძნელათ რომ ესენი ფხიზელი ნახო. სადაც კი სოფელში მიხვალ, ყველგან თოფსა და პატრონას თხოულობენ, მაგრამ ამასთან ერთად სწვავენ პატრონებს ტყუილ-უბრალოთ. ტელეგრაფის ბოძები სულ დახვრეტილია და არცერთი „იზოლიატორი“ არა აქვს მთელი. თუ სადმე წერო დაინახეს, ას და ორას პატრონას არ დაიშურებენ. უფრო შეგნებული გლეხობა სულ წინააღმდეგს იძახის. იარაღი უნდა აეყაროს ყველას, რომ ამ ცუდაობას და ურიგობას ბოლო მოეღოსო. შეგნებული გლეხები, როცა ხედავენ, რომ ასეთი ურიგო ქცევით ყველაფერი იღუპება, ვერაფერი ეთქვამთ თოფის შიშით.

გასძარცვეს კობის მონასტერი, რომელშიაც მილიონის ღირებულება იყო, დაანგრიეს თურმე კედლები და აგურები სახლში წაიღეს, ბერები დახოცეს და სხვა, შემოგზავნილეს მახლობელმა გლეხებმა და მთავრობა კი არსადა სჩანს, ეს გულს გვიტეხს ჩვენს მთავრობაზე და თავზე ხელაღებულ ყმაწვილებს კი ფრთებს ასხავს. საჭიროა სასტიკი ზომების მიღება თავაშვებული პირების წინააღმდეგ ვიდრე ადრეა, თორემ ეგები სამწუხარო საქმის მოწამე გავხდეთ ისე როგორც ზოგ ზოგ ადგილებში. მემამულეები და ფერმის პატრონები აღარსადა სჩანან: მიუნებებიათ და ამ თავაშვებულ ვაჟბატონებს გაუცარცვავთ და გაუტაცნიათ ყველაფერი. ასეთივე მდგომარეობაა ბელიკლიუჩის რაიონში. ანადგურებენ ტყეებს. სჭრიან ხეებს და ტყვილათ ყრიან ტყეში. ყველა ეს უტეხავს გულს გლეხობას მუშაობაზე.

ნათესი ძალიან დიდ ძალი არის—ჩვეულებრივზე ოთხჯერ მეტი, აქაურმა გლეხებმა გადმომცეს, მოსავალსაც საუკეთესო პირი უჩანს თუ რომ ხელი არაფერმა შეუშალა. გლეხობას იმედი აქვს, რომ საყოფზე ბევრით მეტი მოსავალი ექნებათ, თუ ზოგიერთ ვაჟბატონებს არ ალუდგებიან, ეს გულს გაუფუჭებს გლეხობას და მოუვლელი დარჩება მოსავალი. გლეხობა მოითხოვს სიმკაცრეს მთავრობისაგან, თორემ ყველა იღუპება, ამას ამბობს უფრო გაგებული გლეხობა. ლ. ბერიტაშვილი.

---

**თელავი.** იწყება უფრო მძლავრი ანარქია, რაც იყო ამ რამდენიმე კვირის წინეთ და რამდენიმე ამხანაგიც შეეწირა მათ ალაგმვას: მაშინ არ იყვნენ ისე შურისძიებით გამსჭვალულნი ის გახულიგანებული ვაჟბატონები, როგორც დღეს: დღეს ისინი აღარ მალავენ თავიანთ საგმირო საქმეს და აშკარათ გაჰყვირიან: „დედას გიტირებთ, რაღაცა წითელ გვარდიელები ხართ, სდგება ჩვენი მე 8 პოლკი და აბა თუ ბიჭები ხართ, წინ გადაგვიდექითო და სხვა. ეს, რომ ასეა და მართლაც სამზადისია მათ მხრივ, რომ გახვიონ მთელი მაზრა ანარქიის ქარ-ცეცხლში აღარავისთვის არ არის დაფარული. უკვე დაიწყეს ძველებურათ ქეიფი თელავის მე-8 პოლკელებმა. ჯერ ღმერთს დღე არ მიუცია და მცირე რიცხვისაგან შესდგებიან და თუ მართლა პოლკი შესდგა და გამაგრდენ, მაშინ კი დაგიფაროს რაც აქ მოხდება, იყრიან თავს ისევ ისინი ხსენებულ ყაზარმაში, ვინც ამას წინეთ იყვნენ და გაანადგურეს თელავის კომისარიატი; როგორც გამოცდილები, იმედია თავიანთ საგმირო საქმეებს უფრო მოხერხებულათ განაგრძობენ... მაშინ არავისთან შურისძიება არა ჰქონდათ და დღეს კი...

ან როგორ არ ეშვებიან თოკიდან ეს ვაჟბატონები, როდესაც არავითარი დისციპლინა აქ არ არსებობს და ყველაფერი უყურადღებოთ არის მიტოვებული. მაგალითად, კვ რას, 15 აპრილს დილით მთელი ყაზარმები მოვიარე და მორიგე (დეჟურნი) ოფიცერი ვერ ვნახე, სად იყო ალახმა უწყის! ოფიცერი დისციპლინის მცოდნე და მაგალითის მაჩვენებელი, რომ თავის პოსტზე არ არის, რა უნდა მოსთხოვოს შეუგნებელ, არ მცოდნე ჯარისკაცებს? ვიმეორებ: დიდი საფრთხე მოელის ხსენებულ მე 8 პოლკისაგან თელავს და მის მაზრას თუ ახლავე არ იქნა სასტიკი ზომები მიღებული ვისგანაც ჯერ არს, თორემ მერე გვიანღა იქნება!.. ვანო აგაქიძე.

---

**ნიგოითი** (გურია). ბათუმის დაცემის შემდეგ აქაური ორგანიზაციული მუშაობა ძალიან შეფერხდა. ხალხის დიდი ნაწილი უიმედობით გაიჟლენთა, ბევრი ახალგაზდობა კვლავ ჯარში დაბრუნდენ, მუშა ხელის სიმცირის გამო ყანის დათესვა ძალიან შეფერხდა, რაც დიდ საფრთხეს უმზადებს ისედაც არაჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფ მცხოვრებთ. ბათუმიდან და ოზურგეთიდან გადმოხვეწილები ყოველ დღე მოდიან თავშესაფარათ აქ, რაც დიდ გაჭირვებას იწვევს სურსათის მხრივ. 18 აპრილს, ახალი სტილით 1 მაისს აქ შესდგა მთელი საზოგადოების კრება. დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ნიკო ფირცხალაიშვილმა. მან აუხსნა დამსწრეთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადების უმთავრესი მიზეზები. აუხსნა ხალხს, თუ რა პირობებში ხდება ზავის შესახებ მოლაპარაკება, რისთვის გადადგა გეგეჭკორის მთავრობა და შესდგა ახალი ჩხენკელის მეთაურობით. მომხსენებელმა თითეულ შეკითხვაზე გულდასმით უპასუხა ყველას და ახსნა-განმარტების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ამიერ-კავკასიის სეიმმა 9 აპრილს მეტათ სერიოზული ნაბიჯი გადადგა, რაც მომასწავებელია ისეთ არაჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფ დემოკრატიის მრავალგვარ საფრთხისაგან თავის დასაღწევათ. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობას მეტი გამოსავალი გზა არ ქონდა და იმოქმედა ისე, როგორც შეეფერებოდა გონიერ მთავრობას. ჩვენ ყოველი ჩვენი არსებით მხარს ვუჭერთ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკას და აგრეთვე აკაკი ჩხენკელის მიერ ახლათ შემდგარ მთავრობას. ამ რეზოლიუციას მხოლოდ ერთი არ უჭერდა მხარს რაღაც მოსაზრებით. შემდეგ ამხ. ნიკო ფირცხალაიშვილმა ილაპარაკა სასურსათო საკითხზე, გადმოხვეწილებზე და სხვ. აქ ზოგიერთი არა-საიმედო პირები გულმოდგინეთ ჭორიკანობენ, რასაც ხშირათ პროვოკაციული ხასიათი აქვს. საჭიროა ასეთი პირების ალაგმვა. თოფკა.

---

**სოფ. ზედა საქარა.** ფართე გასავალი აქვს ამ სოფლად ჭორებს. ახლო წარსულში აეროპლანებს გადაევლოთ. ერთ თავზე ხელაღებულს სროლა დაეწყო, რის გამო იქვე შეიყარა ხალხმა თავი და ძლიერ გაკიცხეს—დაჭერაც კი მოუნდომეს.

მოსავალს ჯერ კარგი პირი უჩანს, მაგრამ გაზაფხულმა წვიმები გაახშირა, რაც საზარალოა.

ხშირად აქ სროლაა. ისე ისვრიან, ასე გეგონება ბრძოლის ველიაო. ადგილობრივი მთავრობა ცდილობს ამ ბოროტების აღმოფხვრას, მაგრამ არ იქნა, მაინც არ ელება ბოლო.

ნახევარი წლის წინათ აქ არსდებოდა კოოპერატივი, რისთვისაც საჭირო ფულიც მოიბოვა და გამგეობაც არჩეულ იქნა. სამწუხაროდ ამ გამგეობას ჯერ არაფერი არ გაუკეთებია. კოოპერატივის სახელი მხოლოდ სახელად დარჩა. ხმები გავრცელებული ფულის ვითომდა დაკარგვისა. მე მწამს, რომ ფული ხელუხლებელია, მაგრამ გამგეობის ვალდებულებაა ან აამუშაოს კოოპერატივი ან ხალხი დაამშვიდოს, რომ ფული ხელუხლებელია. სოფელს შაქიამანი სჭირია, გამგეობული დაქეიბს და გამგეობას რომ ეს ედვა თავზე—შეიძენდა, სპეკულიანტები 200 მან. ყიდიან ფუთს.

დღეობების გადახდას არ ეშვებიან მცხოვრებნი.

მობილიზაცია მწყობრათ ტარდება, მაგრამ სამწუხაროდ ზოგნი პოზიციებიდან იპარებიან.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობაზე მცხოვრებლების აზრი ასეთია: თუმცა არ გვინდოდა რუსეთისაგან გამოყოფა, მაგრამ რადგან თვით ცხოვრებამ გვაიძულა ასე გვემოქმედნა, ამიტომ ყოველივე ძალ-ღონეს ვიხმართ დამოუკიდებელ რესპუბლიკის დასაცავათ. საქარელი მ.

---

**ს. ჩაილური** (სიღნაღის მაზრა). 1918 წელს აპრილის 14 მოხდა კრება, რომელსაც დაესწრო მთელი საზოგადოების მცხოვრებნი, როგორც მამაკაცი აგრეთვე დედაკაცი და ბევრი სხვა ახლო სოფლელებიც. ილაპარაკა რწმუნებულმა ამხანაგმა უმბრიევმა, რომელმაც გააცნო კრებას მიწის დეკრეტი. ილაპარაკა აგრეთვე ახალი მთავრობის შესახებ. ხალხი კმაყოფილი დარჩა და აღუთქვა მხარი დაუჭიროს ახალ მთავრობას და ამიერ-კავკასიის სეიმს. სიმონ ფხალაძე.


# დაიკარგა

ქუთაისიდან სად. შორაპნამდის ბილეთი სამხედრო სამსახ. თავისუფლების, 257 ქვეითა პოლკის მოცემული ატესტატი, ფოტოგრაფიული სურათი. მპოვნელს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით. მაგისტრალნი ქუჩა № 33. ნიკიფორე ხვედელიანს. (1—1)

# განცხადება

ამით ვაცხადებ თფილისის საქონლის სადგურის „ერთობის“ ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ მათზე დარჩენილი ფულები დაუყონებლივ შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოცხადდება. მასთან 1 ივნისიდან საჭიროა ყველამ წინდაწინ გადაიხადოს გაზეთის ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთს ვერ მიიღებენ.

ამხ. სალმით საშა ჩიგოგიძე.

(3—2)

მარტის 20 გაიხსნა ახალი

# სამკურნალო

ყოველგვარ ავათმყოფთათვის ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარ ბები უფასოთ მიიღებიან დილ. 10—12 საათ. (24—20)

ექიმი ქალი

# რ. გ. შიუკო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა. სახლი № 82 ტელ. № 3—97.

# ექიმი პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ჟენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ 15—00.

ექიმი

# დ. ი. ჟორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებზე. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

# ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ რაზინზის ქუჩა, № 19

სამკურნალო კაბინეტი ექიმი ალექსანდრე დ...

# კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

# ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან სნეულებათა, საზებით და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

# ექიმი ზ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ სახ სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

ექიმი

# გ. დონხინი

ყოფილ იასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფ ბს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

# დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

ექიმი

# ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი

# ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

# ტფ. ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დროებითი საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი

კვირას 12 მაისს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში იწვევს თფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კრებას ყველა დარგიდან. დღის წესრიგი:

1) მომენტის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი.

2) თუ რა ზომები იქნას მიღებული, რომ ბ-ნთ ვაჭარ მრეწველებზე გაწერილი ფული საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოთ დაუყოვნებლივ იქნას შემოტანილი.

3) შეკავშირება ქართველ ვაჭართა და მრეწველთა ერთ კავშირში, რომლის წესდებაც უკვე დამტკიცებულია.

4) არჩევა კავშირის გამგეობისა და სხვა პირთა.

რადგანაც ფრიად საყურადღებო საკითხებია გასარჩევი ბ-ნნი ვაჭარ-მრეწველნი ვალდებულნი არიან აუცილებლათ დაესწრონ კრებას. (3—1)

# ქართული კლუბი

კვირას, 12 მაისს (29 აპრილს) მ. მ. გიგოშვილის, ათი წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ. წარმოდგენილი იქნება ახალი ოპერეტა, რომელიც პირველათ იდგმება თფილისის სცენაზე

# ის არ იყოს, ეს იყოსო ანუ მაშტი იგადი

ოპ. 3 მოქ. გაჯიბეკოვისა (არშინ მალ-ალანის ავტ.) თარ. ვ. გიგოშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნი მ. გიგოშვილისა, ვ. მარგველაშვილი, ო. ფეიქაროვი. ბ-ნი მ. ჯანოევი, ი. რევაზოვი, კ. ჩაჯუნავა, სარაული, ე. თარხანოვი, მოცეკვავე ქალები და სხვა. დასაწყისი დილის 12 საათზე.

ბილეთები იყიდება კასაში. დირიჟორი სიმონა. გამგე ვანო გიგოშვილი.

# სტუდენტი გიორგი ლაზრიშვილი

სწავლობდა კიევში, ტეხნიკურ სასწავლებელში

ბინათ სცხოვრობდა ჟილენსკის ქუჩაზე № 55. ორი თვე არის რაც არაფერი ვიცი მის შესახებ. თუ ვინმემ რამე იცის გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: კობისკი ტუპიკი № 11 ნინა ლაზრიშვილი. 6—1

# კატო და პურის ნაფცქვენები

იყიდება ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებაში. ფასები და პირობები იკითხეთ ამავე განყოფილებაში.

ქალაქის გამგეობის სასურ. განყოფილება.

პარასკევს, 10 მაისიდან (27 აპრილიდან) ყველა უბნებში საბარათო ბიუროებში მოხდება მიცემა

# მაისის პურის ბარათებისა

პურის ბარათები მიეცემათ მხოლოდ სახლის კომიტეტებს: პურის ბარათების მისაცემათ საჭიროა წარმოდგენილ იქნას სასურსათო ბარათი (მესამე სერიის შაქრის ბარათი და სახლის სარეგისტრაციო „ვედომოსტი“).

ფასი თითო ბარათისა 25 კაპ.

2—1 ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.